საქართველო

წელიწადი მეხუთე — ოთხშაბათი, 29 ღვინობისთვე 1919 წ. № 234 — ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირს 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა— 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი: — თბილისი „საქართველო“.

ტელეფონი № 15—73

მიხეილის

!!! დღეს უკანასკნელი დღეა !!!

დღეს, 29 ღვინობისთვეს კიდევ ერთხელ მიხეილის „ალკაზარში“ დაიდგმის გრანდიოზული მსოფლიო სურათი 2 სერიად, 12 ნაწილად, პროლოგით და ეპილოგით ამერიკის სახელგ. ტრანს—ატლანტიკის ტრესტისა

ჟანნა დ'არკ
(ორლეანელი ქალწული)

ჟანნას დ'არკის როლში ნიუ-იორკის თეატრ „მეტროპოლიტენ“-ის პრიმადონა

ჯერალდინა ფარრარ

ახლანდელი ახალი ამერიკული სურათი არ უნდა შეგვშალოთ იტალ. სურ. „ორლეანელ ქალწულთან“ ორ სერიად, რომელიც 9 წლის წინად გამოვიდა და გაიარა თბილისის თეატრებში. ანონსი: ორშაბათს, 17 ღვინობისთვეს, ნაჩვენები იქნება: „ჟანნა დ'არკ“ მეორე სერია.

პლეხანოვის ქუჩა, 91 სახ. უნივერსიტ. გვერდით

უზრუნველი ხართ თუ არა ამ ზამთარს სათბობით?

თუ არა მაშინ შეიძინეთ ქვა-ნახშირი — შეშის ნაცვლად.

ქვა-ნახშირი ორჯერ მეტად ძალის სითბოსაა ვიდრე საუკეთესო ხარისხის შეშა და ამასთანავე ჯდება იაფადაც. იხმარება გერმეტიულ და სამზარეულო ფეჩებში. დიდ ეკონომიას წარმოადგენს კერძო ოჯახისთვის, სასწავლებელთათვის, სასტუმროებისათვის, რესტორანებისათვის და სამოქალაქო დაწესებულებებისათვის. შეკვეთა მიიღება როგორც დიდი ისე პატარა პარტიებით.

მოითხოვეთ მხოლოდ ტყიბულის ქვა-ნახშირი, ნუ შეურევთ სხვა იაფფასიან გელათის ქვა-ნახშირთან. ტყიბულის ქვანახშირს აქვს შვიდი ხარისხი სხვა და სხვა ფასში. ჩვენი ქვანახშირის მიღება მხოლოდ შეიძლება ვაჭრობა-მრეწველობის სააგენტოში ინჟინერ ციციშვილთან და ამხანაგობასთან.

1) დიდუბეში, საქალაქო შეშის საწყობში, 2) კუკიის შესახვევში № 5 და 3) მუხრანის № 25. ჩვენ სუბ-აგენტთან ტერ-პოღოსიანთან, ტყიბულის ქვანახშირის კანტორაში და გრიბოედოვის და კრუზენშტერნსკისა — № 615.

მსურველთ მიუტანთ ქვა-ნახშირს სახლში. 215 10—4

დავით, ივანე, ლუარსაბი ოტიას ძენი დადიანები, ეკატერინე კოჩაკიძისა, ნინო ერისთავისა, ანნა მდივანისა და თამარ ყიფიანისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მათი საყვარელი დედის

დარია ლუარსაბის ასულის დადიანის
(ჩოლოყაშვილის ასულის)

გარდაცვალების წლის თავზე გადახდილ იქნება პანაშვიდი ოთხშაბათს, ღვინობისთვის 29 ს, ქვაშვეთის ეკლესიაში, დღის 12 საათზე.

2634 1—1

გულდამწვარი ქმარი ნიკოლოზ ივანეს ძე მახარობლიძე აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 30 ოქტომბერს გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ მეუღლის

ელისაბედ ვლადიმერის ასულის მახარობლიძისა (გვახარიას ასული)

დიდუბის ეკლესიაში. წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე.

2635 1—1

სასადილო „ტაშირი“ სასადილო

(შესხმა—ხოტბა)

„ეკონომია“ - სასადილოსა
დღეს დაიუფლა ძველი ტაშირი
ამერ იმერთა ევროპის სუფრამ
აქ ერთმანეთში შეჰკრა კავშირი.

ტაშის, ზეიმის სასადილოა
ახლად გახსნილი ჩვენი „ტაშირი“
წრის და წოდების ყველა ბელა თა
აქ იმართება ლრეობა ხშირი.

პუშკინისეულ ბაღის პირდაპირ
ღამით და დღისით ბრწყინავს „ტაშირი“
და რა ნება აქვს ყოველ ქართველსა
ამ ძველ „ტაშირში“ „დასწვას ნახშირი“

მე როგორც მუდმივი მოკიარული
ვურჩევ დახედოთ ძველებურ „ტაშირს“
და გეფიცებით მაშინვე შესწყვიტოთ
სხვა რესტორანთა ყოფნას და კავშირს

212--4—4 სტუმარი

1 ხარისხ. კაფე-პარიზი 1 ხარისხ.

დამფუძნ. კრემის ქ. (ყოფ. სასახლის ქ.) ქართულ კლუბის ქვეშ.

ყოველ დღე: საუზმე, სადილები, ვახშმები.

სურსათი უაღრეს ღირსებისაა. კეთება მხოლოდ კარაქზე.

სადილები: პურით 2 თავი 15 მან.
" " 3 " 20 "

ყოველ დღე მზადდება აზიზი საჭმელები საქართველოს ყველა კუთხისა და ევროპიული. საგანგებოდ გამოწვეულია იმერეთიდან ცნობილი მზარეული. მოწყობილია ცალკე კაბინეტები წვეულებისათვის.

პროცენტები მსახურთა სასარგებლოდ არა ხდებათ სტუმრებს.

რესტორანი ღამის 2 საათამდეა ღია.

პატივისცემით ვარ. გვათუა.

განსაცდელის წინ

წელიწად ნახევარია, რაც საქართველოს დამოუკიდებლობა აღსდგა და რაც ქართველი ერის ბედს სოციალ-დემოკრატიული პარტია განაგებს. განაგებს უფრო აბსოლუტურად, ვიდრე რომელიმე დროს რომელიმე თვითმპყრობელი და იმ დაუფასებელის უპირატესობით, რომ მისი ბატონობა და გამგებლობა ხალხის თავისუფალ ნდობაზეა დამყარებული. უკეთეს პირობებს ვერ ინატრიდა ამ დემოკრატიულ ხანაში ვერც ერთი პოლიტიკური პარტია.

სოციალ-დემოკრატია ჩვენში გამოვიდა განუსაზღვრელი ბედნიერების მომტან მოძღვრების მოციქულად და გამოულეველი დაპირებების ხურჯინით. ხალხი მას გაჰყვა და ბატონობის კვერთხიც ხელში ჩაუდვა.

თუმცა სოციალ-დემოკრატია უკიდურესი კლასიური პრინციპით გამოვიდა და ერის ერთ ნაწილს ქონებრივ გაძარცვასთან ერთად დიდი ზნეობრივი დამცირებაც მიაყენა, მაგრამ ერის ეს ნაწილი უფრო შეგნებული და ისტორიულად განუშორებელი მომძღოლი ჩვენი სახელმწიფოებრიობის, მას არ ჩასდგომია შეურიგებელს ოპოზიციაში, რაკი ერთხელ ისტორიას უნებებია და დადგენილი სამშობლოს დაცვა ამ პარტიისთვის ჩაუბარებია. ამგვარად, სახელმწიფოს შენობაში მმართველ ძალას არავინ ჰყავდა ხელის შემშლელი. მზად იყო ყველა საჭირო ობიექტიური პირობა, რომ ამ პარტიას გამოეჩინა თავისი შემოქმედება, გაენაღდებია ნაწილად მაინც თავისი დაპირებანი, ხალხისთვის ბედნიერება ჩამოეგდო და მით თავისი გავლენა და წინამძღოლობა მარადი და უკვდავი გაეხადათ. სოციალ-დემოკრატიამ ეს ვერ შესძლო და ხალხი, რომელიც რევოლუციის პირველ ხანებში გაცილებით მეტ წესიერებას და დისციპლინას იჩენდა რევოლუციის და მომავლის იმედებით აფრთოვანებული, დღეს, მოლოდინში მოტყუებული, აიშალა, აფორიაქდა; ადგილ-ადგილ არეულობას და უწესოებას ახდენს.

კანონიერება და სამართალი, წესიერება და უფლებრივობა, რომელიც თვით სულია თანამედროვე კულტურის და უდიდესი მონაპოვარიც კაცობრიობის ხანგრძლივი არსებობისა, ვერ იქმნა, მთავრობამ აქამდის ვერ დაამყარა და ხალხს ვერ მისცა. ხალხი მოიღალა კანონის ნორმას გარეშე ცხოვრებით, — რა პირობებშიაც ანარქიას, უწესოებას, და თვითნებობას წინ თავისუფალი ასპარეზი რჩება გაშლილი. ამასთან ერთად თვით მთავრობამ, საკუთარის ინიციატივით, ითავა და ხალხის თვალწინ დააქცია, გაანადგურა ის საფუძველი, რომელიც სოციალურ ურთიერთობის სიმკვიდრეს ჰქმნიდა; მან აჰყარა და დაშალა საკუთრება; მტაცებლობის, წართმევის მავნე მაგალითი ხალხის ინსტიქტში გადაისროლა და ზოგან წინამძღოლობა კიდევაც უდანაშაულოთა წინაღმდეგ ცეცხლის და მახვილის დანთება-მოქნევას. ხალხის სიმრავლე, რომელიც თავის ტრადიციულის მოქმედებით ჩვეულია მხოლოდ ჯაფის და შრომის უფლებით თავის თავისა და თავის ცოლშვილის რჩენას, მთავრობის ამ მტაცებლობის აქტს დიდის უნდობლობით შეხვდა. თითო ოროლა მტაცებელი ბუნების პატრონი, ან იდეური ექსპროპრიატორი მდგომარეობას ვერ შეცვლის. ხალხი უნდობლად შეხვდა მთავრობის მიერ ჩადენილ მძარცველობას და ერთი ღუჯი მიწაც მისგან არ უყიდნია; ამას ჩადის ქართველი ხალხი, რომელიც მიწას დახარბებული იყო და რომელიც უწინდელ დროში იკლებდა ყველაფერს, ტანს, ფეხს, საჭმელ-სასმელს, ოღონდ კი საკუთრება შეეძინა, მიწა ეყიდნა! ხალხმა ასეთი პასუხი გასცა მთავრობის მიწის დეკრეტს. რაც შეეხება კერძო ტყეებს, რომელსაც ხალხი გაცილებით უფრო ადვილად სარგებლობდა რევოლუციამდე, ვიდრე დღეს, როდესაც ხომერიკემ მაღალი გადასახადებით დატვირთა ყოველი ძირი ხე. ამ ტყეების გამო ხალხსა და მთავრობის აგენტებს შორის ხშირი შეხლა-შემოხლა ხდება; იყო რომ ასე მოექცა ხალხი მიწის რეფორმას, რომელიც შინაარსია საქართველოს რევოლუციის მთელი სოციალური მხარისა და რომელმაც ერის ერთი ნაწილი გაანადგურა, ხოლო მეორე ნაწილს ვერაფერი შემატა; საზოგადოდ კი ავნო სახელმწიფოს ინტერესს, დასცა მისი მეურნეობა. ამასთან ერთად დაიწია ხალხის ეკონომიურმა კეთილდღეობამ; ხალხს შემოაკლდა ტანიფეხი, სამუშაო იარაღი და პირველ საჭიროების საგნები. ცხოვრება აუტანელი შეიქმნა ეკონომიურად; ამან და ხელის უფლების არარაობამ, სამართლის და წესიერების უქონლობამ ხალხი აავსო უკმაყოფილებით და ნდობა დაუკარგა მთავრობისადმი.

ამ ყოფაშია დღეს სწორედ ის ხალხი, რომელიც სოციალ-დემოკრატიის არმიას შეადგენს და მისი იდეოლოგიის საზრუნავ საგნად იყო ოფიციალურად გამოცხადებული. რა მდგომარეობაში იქნება ამ სამი წლის რევოლუციის დასასრულში ის ხალხი, ის ვაჭრობა-მრეწველობა, — ჩვენი ეკონომიური ცხოვრების ეს უდიდესი ამოძრავებელი ფაქტორი — რომელსაც სოციალ-დემოკრატია იდეოლოგიურად ყოველთვის ებრძოდა და რომელსაც ეხლა თავის ბატონობის დროს, სახელმწიფოს მთელი იძულებითი აპარატით დააწვა და ანადგურებს?! ან რა მდგომარეობაში უნდა იყოს ამ სამი წლის დასასრულს აგრეთვე ის ხალხიც, რომელიც მთავრობამ გაძარცვა, რომელსაც მან გამოაცალა საცხოვრებელი და პირდაპირ ქუჩაში დაჰყარა? და აი თუ ამ ორ ნახევარ წლის წინად რევოლუციის პირველ ხანებში მთავრობას არავინ ედგა ოპოზიციაში, თუ დაპირებებით დათვრალი ხალხი კმაყოფილებით და აღტაცებით მიჰყვებოდა მას, ხოლო ქონებრივად და ზნეობრივად შელახული ნაწილი საერთო ეროვნული ინტერესისთვის შეურაცყოფას იტანდა და მთავრობასთან იყო, დღეს გარემოება სულ ერთიანად შეიცვალა. ხალხი დრტვინავს, მთელი ერი უკმაყოფილოა, ერი და მთავრობა იდეურად და მორალურად დაშორდა ერთმანეთს. ერი თავს უშიშროებაში ვერ გრძნობს და ნდობას ჰკარგავს მთავრობისადმი. მთავრობას შერჩნენ მხოლოდ ისინი, ვინც თავს ირჩენს სახელმწიფოს ხარჯით, დაინტერესებული „ოპრიჩნიკები“ და არა ის, ვინც ასაზრდოებს და ჰკვებს სახელმწიფოს.

მეტად სახიფათო მდგომარეობაა ჩვენი სახელმწიფოს არსებობისათვის. შეიძლება ერთბაშად ჩავიკეცოთ. საკმარისია ნაპერწკალი, რომ დაგროვილმა მასალამ იფეთქოს და ჩვენი უდიდესი მონაპოვარი — საქართველოს დამოუკიდებლობა დავკარგოთ. უკმაყოფილო მასსა, უკმაყოფილო და მთავრობას დაშორებული ერი, ამ უკმაყოფილების გრძნობის დუღილში და ამ პსიხოლოგიურ გაურკვევლობაში, ადვილად შეიძლება ანტი-სახელმწიფოებრივმა ბოლშევიკურმა ელემენტებმა გაიყოლიონ. საქართველოს ბედის-წე რაც მაშინ იქნება.

ამ მდგომარეობას სჭირია სერიოზული ანალიზი და დაფასება. ჩვენმა უხერხემლო და ხელმწიფების ყოველ უნარს მოკლებულმა მთავრობამ, დროა დაინახოს რომ ქვეყანა განსაცდელის კარამდე მიიყვანა! წართმეული გვაქვს საშუალება მთავრობას მხარი დავუჭიროთ, ვინაიდან ეს იქნებოდა იმ პოლიტიკის გაგრძელებისათვის მხარის დაჭერა, რომელმაც შეჰქმნა ეს კოშმარი. ჰფიქრობს თუ არა ბედ-შავი მთავრობა პოლიტიკის შეცვლას, რომ შესაძლებელი გახდეს ერის ყველა ცხოველი ძალის შემოკრება და ერთ ბირთვად შედუღება, რომ ამ გზით ჩვენს ქვეყანას ავაშოროთ ის საბედისწერო ანარქია, რომელიც, ასეთ პირობებში, ადვილად შეიძლება შეჰქმნან მემარცხენე ანტი სახელმწიფოებრივმა ელემენტებმა, — საქართველოს დამოუკიდებლობის ამ დაუძინებელმა მტრებმა?! ეს გვმართებს განსაცდელის წინ!

* * *

პრესსა

„ბორბა“

გაზეთი „ბორბა“, რომელიც ჩვენ აშკარათ დავიჭირეთ შეუწყნარებელ დემაგოგიაში, იმის ნაცვლად, რომ სირცხვილისაგან გაჩუმებულიყო, კვლავ აბრუნებს და ჩვენ გვდებს ბრალს, კლასთა ბრძოლის გაღვივებაში.

„ბორბა“ მოუწოდებდა რუშებს, მედგრად დარაზმულიყვნენ ვაჭარ-მრეწველთა კლასის წინააღმდეგ, რომელიც მათის აზრით წინააღმდეგი იქნებოდა იმ ზომებში მონაწილეობის მიღებაზედ, მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება რომ აქვს დასახული მიზნად.

ჩვენ დავამტკიცეთ ფაქტებით, რომ ვაჭარ-მრეწველთა კლასმა, თვით მთავრობას დაასწრო სათანადო ნაბიჯების გადადგმაში და ეს დადგენილება გამოიტანა 17 ოქტომბერს, ე. ი. სატარიფო პალატის მიერ გამოტანილ დადგენილების მეორე დღესვე.

„ბორბა“, მაინც არ წითლდება და ასეთ სტრიქონებით გვიპასუხებს:

„განა შეუძლია „საქართველო“-ს დაგვარწმუნოს იმაში, რომ ეს დადგენილება შედეგია მათი „სულიერი წადილის“ და არა წინედ მომხდარი „იძულებისა“?

ამ ამონაწერს კომენტარიები აღარ სჭირდება!

„ბორბამ“ ისე შესტოპა, რომ ასეთი აბსურდებით, უხდება თავის მართლება:

ასეთსავე ღიმილს იწვევს მისი მეორე დებულება:

ბორბა წინადადებას იძლეოდა, რომ ახლად დაარსებული ფონდის ორგანიზაცია მოწყობილიყო არა ზევიდგან, არამედ ქვევიდან და სრულებით დამოუკიდებელი ყოფილიყო, და ჩვენს შენიშვნას, რომ ასეთი ორგანიზაცია, მხოლოდ გაანიავებს ამ ფონდს და თვით მუშები ცარიელზედ გამოვლენ, ასეთს პასუხს იწვევს მისგან:

„თქვენ გახსოვთ ალბათ პრუდონის ოქროს სიტყვები: „საკუთრება—ქურდობაა“, და ეჭვებს სძრავთ ამ კაპიტალის გაფლანგვის შესაძლებლობაზედ.

რა არის ეს, თუ არა ინსინუაცია?“

რაც შეეხება „საკუთრება — ქურდობის“ საკითხის ცოდნას, ჩვენ იმ ხალხს ვერ შევეცილებით, „ბორბა“ რომ გარს ახვევია!

იქ ყოველმა პროპაგანდისტმა ზედმიწევნით იცის ეს საქმე და საკმაო პრაქტიკული გამოცდილებაც აქვთ ამაში.

ამისთვის ვაფრთხილებთ ჩვენ მუშებს, რომ არ აყვენ „ბორბას“ დემაგოგიურ მოწოდებებს და თავის საქმეს უფრო ფხიზელი თვალებით შეხედონ.

ეკონომიური წერილები

II

ოქროს ფონდი.

არც ერთი გაბატონებული თეორია არ არის მარადიული, აბსოლუტურ ჭეშმარიტების მატარებელი. გაივლის ხანი და თვითეული მათგანი ისევე დასამარდება, როგორც მრავალი წინამორბედი თეორიები. ჩვენგან არც ისე შორსაა, მაგალითად, ის დრო, როდესაც მედიცინა ყოველს ავადმყოფობას სისხლის გამოშვებით სწამლობდა. რამდენი ფარხალის დამსხვრევა იყო საჭირო, რომ შეეცვლია ამგვარი მკურნალობის შეუსაბამობა, ხოლო თანამედროვე ექიმები ხომ სულაც გაურბიან ხელოვნურ წამლებს და ავადმყოფის მორჩენას სცდილობენ მისი სულის გამხნევებით და ფიზიკურ რეჟიმის სწორ დაყენებით.

აიღეთ ახლა მატერიალიზმი, რომლისადმი რწმენა ისეთივე დიდი იყო, როგორც საშუალო საუკუნის დომინიკანელ ბერებისა მაცხოვრისადმი. ჯერ ჩვენი ახლად შეჭაღარავებული მამები და, — ან რაღა ისინი, თვითონვე ჩვენც, — მთელის ჩვენის ახალ გაზრდული აღმაფრენით სავანროლას როლში გამოვდიოდით ყველა იმის შესაჩვენებლად, ვინც კი მატერიალიზმის აბსოლუტობაში ეჭვის ჩრდილსაც კი გაიტარებდა, მაგრამ დღეს ხომ ვხედავთ, თუ რა ბედი ეწვია ამას! მხოლოდ-ღა ის გვანცვიფრებს, თუ როგორ მოხდა, რომ ასე ბრმად ვენდობოდით, მას, რად ვიყავით ესოდენ ღრმა რწმენით განმსჭვალულნი ამ მოძღვრებისადმი, რომლის შეუსაბამობა ისეთივე ცხადია ეხლა, როგორც ძველ მედიცინის მიერ ახირებულად აჩემებული სისხლის გამოშვება და მით წამლობა ავადმყოფისა...

ასევე უნდა ითქვას ეკონომიურს საკითხებზე. აქაც ძველმა შეხედულობამ მოსჭამა თავისი ბატონობის დრო. ძველი მატერიალისტური თეორია უარსა ჰყოფდა სახელმწიფო უფლება-შემოქმედებას ეკონომიურს მოვლენათა სფეროში და ფულის ტრიალის საკითხში. მთელი მისი უზარმაზარი ენერგია უმოქმედობით ილუპებოდა. ისე გამოდიოდა, თითქოს სახელმწიფო მხოლოდ უბრალო მაყურებელი უნდა ყოფილიყო ეკონომიური ცხოვრებისა და არა მისი შემოქმედი.

სახელმწიფოს სჭირია ეკონომიურ ცხოვრებისთვის მრეწველობის განვითარება. მაგრამ ამისთვის ხომ ფული იყო საჭირო. კერძო ბანკები გრძელვადიან სესხს არ იძლეოდნენ და სახელმწიფო ბანკიც ხელშეკრული იყო ასეთი სესხის გასაცემად. რატომ? რატომ და იმიტომ, რომ ძველი რუტინის მიერ შემუშავებული თეორია ირწმუნება, რომ საკრედიტო ბილეთების გამოშვება დადგენილ ნორმის ზევით მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ახალ ბილეთების გამოშვებას მოჰყვება მათი უზრუნველსაყოფი ოქრო, რაიც სახელმწიფო ხაზინის საწყობებში უნდა იდოს.

მთავარი აზრი ამ თეორიისა ისაა, რომ უსაზღვროდ ქაღალდის ფული არ იქმნეს გამოშვებული, ვიდრე მისი ამანაზღაურებელი მაცდური ოქრო არ გვექნება. განსაცვიფრებელი ის იყო, რომ თეორია იგი სრულიად ანგარიშს არ უწევდა სახელმწიფოში არსებულ ფაბრიკა-ქარხნებს, რომელნიც ისეთივე რეალურს ღირებულებას წარმოადგენენ, როგორც ოქრო.

დასავლეთ ევროპისა და ამერიკის საწარმოო ძალთა ამოძრავებამ და გამოცდილებამ კი სულ სხვა რამ დაგვანახვეს, სახელდობრ ის რომ, საკრედიტო ბილეთებისთვის სრულიადაც

№234

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.
დღეს 29 ღვინობისთვეს

ა ი დ ა

პირველი ქართული ლატარიის გამგეობა აცხადებს

იმ აგენტთა საყურადღებოდ, რომელთაც 25 ღვინობისთვემდე არ წარმოადგინეს გაყიდულ ბილეთების ღირებულება და გაუყიდავი ბილეთები,

რომ 31 ამ თვისათვის ინიშნება ფულის წარმოდგენის უკანასკნელი ვადა, რათა 2 გიორგობისთვისთვის შესაძლებელი გახდეს სრული ანგარიშის შედგენა.

(220—4—2)

უკანასკნელი ცნობები

საქართველოს სხვა და სხვა ადგილებში მომხდარი ბოლშევიკების შეთქმულობანი გამომჟღავნდა. მთავრობის მიერ მიღებულ ზომებით ბოლშევიკების მოძრაობის ლიკვიდაცია მოხდა.

—

პეტროგრადის ასპარეზზე წითელი ჯარი შეტევაზე გადავიდა.

საზღვაო ფრონტზე ბოლშევიკებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს.

ფინურ ყურეს მიდამოებში ბოლშევიკებმა 10 ვერსით წინ წაიწიეს.

დაღესტნის მოსახლეობას დენიკინის წინააღმდეგ აჯანყდა.

სრულიად პოლონეთში სოფლის გაფიცვები დაიწყო.

იტალიაში აგრარულ ნიადაგზე მღელვარებამ მკაცრი ხასიათი მიიღო.

ამერიკიდან მიღებულ ცნობებით შვეიცარიის პრეზიდენტს თავს დაესხნენ.

ბელაკუნს ახალი ბრალდებები წაუყენეს.

საერთაშორისო ბანკირების სინდიკატმა ამირბარ კოლჩაკს 50 მილიონი დოლარი ასესხა.

საფრანგეთის სახელმწიფო დაწესებულებაში მუშების გაფიცვები დაიწყო.

ხმები შალიაპინის სიკვდილზე, არ გამართლდა.

არაა საჭირო ყვითელი ლითონი, თუ კი სწორად გვექნება მოწყობილი ვაჭრობა-მრეწველობის საქმე. ამ ჟამად ოქროს კი აღარ ენდობიან, არამედ სახელმწიფოს და მის ეკონომიურს რესურსებს.

ინგლისში და განსაკუთრებით ამერიკაში იმდენი მრავალფეროვანი ღირებულების ქაღალდები ტრიალებს და ფულის ფასად გადის, განსაკუთრებით ჩეკები, რომ მათს გასანაღდებლად მთელი ევროპისა და ამერიკის შეერთებული ოქროა საჭირო, მიუხედავად ამისა ეს არავის აშფოთებს და ხალხიც დაარხეინებულია, არავინ მიდის თავპირის მტვრევით ბანკებისკენ, როგორც ჰფიქრობდნენ ძველი ეკონომისტები, თავიანთ ქაღალდების ოქროზე გასანაღდებლად. ნუ თუ ეს გარემოება განსაცვიფრებელი ფაქტი არ არის ძველ ეკონომისტთა თეორიების გასაბათილებლად?

ამნაირად ოქროს ფეტიში, რასაც აგრე რიგად ეთაყვანებოდნენ ძველად, თვით ცხოვრების მიერ გვირგვინ ახდილია. ახალი ეკონომიური თეორია სულ სხვა რამეს ჰღაღადებს, თუ სახელმწიფოს არა ჰსურს საკუთარ ხელით არ დაიკლას თავისი თავი: „ოქროს“ თეორია არაა მართალი. სახელმწიფოსთვის აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს იგი. მას აქვს უფლება საკუთარ მრეწველობის განვითარება, საკუთარი კულტურის ამაღლება იმ ხარისხამდე, როგორც ამას საჭიროდ დაინახავს სახელმწიფოსთვის. ამისათვის იგი შესთხოვს მოწყალება მიიღონ ძაზე ოქროს ლითონი მისცენ სესხად, რომედ იგი გამოუშვებს სახელმწიფო საკრედიტო ბილეთებს. მოქალაქენი ენდობიან სახელმწიფოს. სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები დატრიალდება ხმარებაში იმისდა მიუხედავ ვად, არის თუ არა ბანკის სარდაფებში გასანაღდიბელი ოქრო. სახელმწიფოს ოქრო საერთაშორისო დამოკიდებულებაში ეჭირვება და არა თავის ქვეყნის მრეწველობის შექმნა—განვითარებისთვის.

ახლა შევადაროთ საბოლოო რეზულტატები თუ რა მოხდება მაშინ, თუ სახელმწიფო ძველს თეორიის თვალსაზრისს ადგია, ან და რა იქნება, თუ ახალს შეხედულებას გაიზიარებს. პირველ შემთხვევაში სახელმწიფოს ელის გაღატაკება და უცხოელთა ეკონომიური და პოლიტიკური მონობა, მეორე შემთხვევაში, თუ კი გამოშვებულ ბილეთებით მთელს ქვეყანას მოჰფენს ფაბრიკა ქარხნების ბადით, გზებითა და არხებით, იგი აიწევს, აღმაღლდება და რეზულტატად მივიღებთ იმას, რომ უცხოელთა ოქროს ნაკადულებიც აქეთკენ იწყებენ დენას. ოქრო ერთგვარი ბუზია, რომელიც ბედდადიდანაც კი ერთწუთში გეწვევათ, თუ სახლში თაფლიც გიგულათ,—ფაბრიკა-ქარხანა, შინა მრეწველობის განვითარება.

გადაავლეთ თვალი რად გარდაიქცა ევროპა თუნდა ამ უკანასკნელ 50 წლის განმავლობაში, რაც მრეწველობის განვითარებას ფრთები შეასხეს! პირდაპირ თვალში გეცემათ ის გარემოება, რომ ელდორადოს ეპოპეას დიდიხანია მოუჭამია თავისი თავი და ახლა თუ ოქროს შოვნა არითმეტიკული პროგრესიით იზრდება, მრეწველობის განვითარება გეომეტრიული პროპორციით ხდება.

მაშ თუ ოქროს ფონდი დღეს ვერ ასრულებს თავის ძველს დანიშნულებას, როგორი ფონდია საზოგადოდ საჭირო და კერძოდ საქართველოს რესპუბლიკის ხანა სად უნდა ვეძიოთ? —ამაზე შემდეგ.

სამსონ ახათიანი.

ბოლშევიკების შეთქმულება საქართველოში

მთავრობის განცხადება

მარსის 1 რიცხვებში შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცნობა მიიღო, რომ საბჭოთა მთავრობამ მოსკოვიდან საქართველოში გამოგზავნა რამოდენიმე გავლენიანი აგენტი, დიდძალი თანხით და დაავალა მათ, საქართველოს და აზერბაიჯანის, გენ. დენიკინთან ომში ჩათრევა.

მართლაც, ამ ხნიდან მოკიდებული, გაძლიერდა კომუნისტთა აგიტაცია სოფლად და ქალაქათ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ საქართველოს რესპუბლიკა ბოლშევიკთა ანკესზე არ წამოეგება, უცხო სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში და რუსეთის სამოქალაქო ომში არ ჩაერევა.

მოსკოვიდან მიღებული დირექტივების თანახმათ, რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) კავკასიის საოლქო კომიტეტი შეუდგა რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების და მის მიერ არჩეული მთავრობის დასამხობათ ნიადაგის მზადებას და აჯანყების მოწყობას: ამ მიზნით, გამოიყენეს რესპუბლიკის ფარგლებში მყოფი უცხო ელემენტები, რომელნიც ეტრფიან რუსეთის ბატონობის აღდგენას და ერთნაირი ხალისით უკავშირდებიან, როგორც გენ. დენიკინის რაზმის, ისე ბოლშევიკთა ლაშქარს; კომუნისტებმა კავშირი გააბეს სხვა და სხვა კუთხის დეზერტირებთან და ყაჩაღებთან, ეს უკანასკნელი ნათლად დამტკიცდა მას შემდეგ, რაც მათ მიიმხრეს და ტერორისტად მიიწვიეს ცნობილი ყაჩაღი პაიჭაძე,—ინგლისელი ექიმის მკვლელი, აგრეთვე ეს გამოაშკარავდა ბოლშევიკ დიმიტრი ჯორბენაძის შეპყრობით თიანეთის მაზრაში, რომელსაც თან აღმოაჩნდა სია, ბოლშევიკთა მომხრეების, რომელთა დიდი უმრავლესობა ადგილობრივ და დუშეთის სატუსაღოდან გაქცეული ყაჩაღები აღმოჩნდა. რომ რესპუბლიკის საწინააღმდეგო მოძრაობის და აშკარა მოღალატური საქმიანობისათვის რევოლუციონური ელფერი მიეცათ ბოლშევიკთა საოლქო კომიტეტი ცდილობდა მუშათა შორის გავლენის გაფართოვებას, უმთავრესათ ეკონომიური მდგომარეობის გამწვავების გარშემო და შეუდგა ჯარსა და სახალხო გვარდიაში მიმხრეთა მოძებნას. ამ მიზნით მათ მოიწვიეს 19 აგვისტოს რესპუბლიკის სატახტო ქალაქში თბილისის საგუბერნიო კონფერენცია და რაჭის მაზრაში, სექტემბერში ქუთაისის საგუბერნიო კონფერენცია, სადაც შექმნეს სამხედრო ტეხნიკური კომისიები, რომელთაც დაავალეს დანიშნულ ვადაში მთელ სახელმწიფოში აჯანყების მოწყობა და დემოკრატიული წყობილების დამხობა.

ამ მოღალატური საქმიანობის ჩასაფუშავად, მიღებული იქმნა შესაფერი ზომები, პირველ ოქტომბერს დატუსაღებულ იქმნა ქ. თბილისში გიორგი კალანდაძე, რომელსაც თან აღმოაჩნდა ადგილობრივი ორგანიზაციის ოქმი, საიდანაც აშკარა იყო, რომ ახლო მომავალში ისინი საერთო ამბოხებისთვის ემზადებოდნენ. ეს აგრეთვე დამტკიცდა გურიის სამხედრო ტეხნიკურ კომისიის მთელი შემადგენლობის შეპყრობით დაბა ხიდისთავში 4 ოქტომბერს.

გამოსვლა დანიშნული იყო 4 ოქტომბრისთვის. ამ დროს შეპყრობილ იქმნა ამბოხების ცნობილი ხელმძღვანელები საშა გეგეჭკორი (დუშეთის და ლეჩხუმის აჯანყების მეთაური), ოლნიაშვილი, გახოკია და შოფერი კალანდაძე, რომელიც მიღებული ცნობებით, მონაწილეობას იღებდა მოკლულ ელბაქიძესთან ერთად გენ. ბარათოვზე თავდასხმაში.

თვით აღნიშნული ტერორისტების აქტის მიზანი იყო, გამოეწვიათ გენ. დენიკინის საქართველოზე გამოლაშქრება და მით ხელი შეეწყოთ მოსკოვის მმართველობის სტრატეგიული გეგმის განხორციელებისთვის. დატუსაღებულ იქნა აგრეთვე ბოლშევიკთა საოლქო კომიტეტის ხაზინადარი ყოფილი კომისარი თერგის ოლქისა ელერდაშვილი. ამის შემდეგ ბოლშევიკები იძულებულ შეიქმნენ, აჯანყების მოწყობის ვადა შემდეგისათვის გადაედოთ.

14 ოქტომბერს ღამის 1—2 საათზე, ქალაქ სოხუმში მოხდა ბოლშევიკების შეიარაღებული გამოსვლა. რამდენიმე ჯარის კაცების ტანსაცმელში გადაცმული ბოლშევიკები შეიჭრა ადგილობრივი ათასეულის მე 7 გუნდში, რომელშიაც ბლომად მოიპოვებოდნენ ზუგდიდის მაზრიდან ახლად მოყვანილი დეზერტირები. ბრბო შეეცადა იარაღის საწყობის გატეხას, მაგრამ საარტილერიო დივიზიონის და სახალხო გვარდიის ნაწილის მიერ მიღებული ზომებით მათი ცდა ამაოთ გამოდგა და ბრბო მთავრობას დანებდა, აქვე ამბოხების მონაწილეებმა გასცეს მეთაურები, მათ შორის რამოდენიმე ცნობილი ბოლშევიკი, რომელთაგან ზოგიერთნი შეპყრობილი არიან. ერთი საათის შემდეგ სრული წესიერება აღდგენილ იქმნა. სოხუმის გამოსვლის დამარცხების შემდეგ ბოლშევიკთა საოლქო კომიტეტმა განიზრახა 24 ოქტომბრისათვის საყოველთაო და ერთდროული აჯანყების მოწყობა. სამინისტროს მიერ მიღებული ცნობებით გამოირკვა, რომ აჯანყების მოწყობის ხელმძღვანელები იკრიბებოდნენ ქ. თბილისში სასტუმრო „ავრორაში“ (ოთახი № 15).

21 ოქტომბერს, შეპყრობილ იქმნა აჯანყების ერთი მეთაურთაგანი ილიკო მგელაძე (წინად ცნობილი შანტაჟისტი „ქოროღლი“-ს სახელწოდებით), აგრეთვე პრაპორშჩიკი სუხიტაშვილი, შახნაზაროვი, ყოფ. ჯარის-კაცი ფიხაია, გახოკიას ამხანაგი და მისი მარჯვენა ხელი. მათ დაპატიმრების დროს აღმოაჩნდათ თბილისის რუქა, რომლიდგანაც მტკიცდება, რომ გამოსვლა უნდა მომხდარიყო რამოდენიმე უბანში ერთსა და იმავე დროს. აგრეთვე დაპატიმრებულ იქნა ყოფილი ოფიცერი ტალახაძე აჯანყების ერთ-ერთი მეთაურთაგანი.

21 ოქტომბერს ქ. დუშეთში დაპატიმრეს ტკოევი თერგის ოლქის მცხოვრები, რომელსაც თან აღმოაჩნდა კომუნისტთა სამაზრო კონფერენციის დღიური წესრიგი, აჯანყების საერთო გეგმით.

თელავში, 18 ოქტომბერს დაპატიმრებულ იქნა ბოლშევიკთა სამაზრო კონფერენცია, მათ შორის აუშტროვი, მოწონელიძე, ბაკურაძე, ცინცაძე და სხვ. ამის შემდეგ ბოლშევიკებმა თბილისიდან შესძლეს ახალი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც აგრეთვე შეპყრობილ იქნა 23 ოქტომბერს. უკანასკნელმა კონფერენციამ შეიმუშავა გეგმა ამბოხების, რომლის თანახმათ უნდა შეეპყროთ ჯარის და სახალხო გვარდიის მეთაურები, ფოსტა-ტელეგრაფი და სხვა სახელმწიფო დაწესებულებანი. მიუხედავათ მთავრობის მიერ მიღებულ ზომებისა, ზოგიერთ, უმთავრესათ განაპირა ადგილებში, ბოლშევიკებმა შესძლეს გამოსვლა, თუმცა სრულიად უმნიშვნელო ძალებით.

ლაგოდეხში 24 ოქტომბერს დილის 4 საათზე ბოლშევიკთა ბრბო, დაახლოვებით 30 კაცი შეიჭრა დაბაში, დაიკავა ფოსტა-ტელეგრაფი და სათემო თვითმართველობა და დაიპატრონა ადგილობრივ ძალა-უფლება. ბრბო შედგებოდა როგორც ბოლშევიკებისა, აგრეთვე იმ უცხო ელემენტებისაგან, რომელნიც გენ. დენიკინის აშკარა დამცველნი არიან და მის ლაშქარს აძლიერებს. მოხდა შეტაკება სანაპირო ჯარის პატარა ჯგუფთან, რომლის დროს მოკლულ იქნა ერთი თავდამსხმელი, ერთი ჯარის-კაცი, რომელიც იარაღის საწყობს იცავდა, ხოლო მძიმედ დაიჭრა ოფიცერი გამყრელიძე და ერთი მილიციონერი. ბრბომ დაიპატრონა იარაღის საწყობს და დაიტაცა 150 სამხაზინო თოფი და რამდენიმე ყუთი ტყვიები. თავდამსხმელნი დარწმუნებული იყვნენ, რომ იმავე ღამით დაეცა ქალაქ თბილისში მთავრობა და მთელს რესპუბლიკაში ძალაუფლება ბოლშევიკთა ხელში გადავიდა. როცა გამოირკვა, რომ თბილისში სიწყნარეა და ხმა გავარდა სახალხო გვარდია იგზავნებაო, ბრბო გაიფანტა. ამ ჟამად ლაგოდეხის რაიონში სიწყნარეა.

ქალაქ ფოთში 23 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, მოხდა ადგილობრივ ბოლშევიკთა საიდუმლო კრება. გადასწყვიტეს დილა ადრიან გამოსვლა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებათ. აჯანყებაში უმთავრესი მონაწილეობა უნდა მიეღოთ მატროსებს და სოფელ ნაბადის მცხოვრებთ. შეპყრობილ იქნენ ამბოხების ხელმძღვანელები, მათ შორის სამხედრო გემის უფროსი მაკალათია და ერთი ყოფილი ოფიცერია, სულ დაპატიმრებულია ასამდე.

ამბოხების მოწყობაში, დიდ როლს თამაშობდა მეზღვაურთა პროფესიონალური კავშირი, რომელიც უკვე დაიხურა მთავრობის განკარგულებით.

24 ოქტომბერს, მოხდა ბოლშევიკური ბრბოს შეიარაღებული გამოსვლა სამტრედიაში, კულაშში და კუხის საზოგადოების სოფ. გუბში.

სამტრედიაში დამნაშავენი დატუსაღებულნი იქნენ.

კულაშში ბრბო გამოვიდა მარნიდან და დაიკავა ზოგი დაწესებულებანი. ნახევარი საათის შემდეგ, მიღებული ზომებით აღდგენილ იქნა წესიერება. შეპყრობილია 24 მეამბოხე, დანარჩენი 24 კაცამდე გაიქცა ცხენის წყლის მიმართულებით, ბრბოს წაერთვა 15 სამხაზინო თოფი და ერთი ყუთი ტყვია. გუბში მეამბოხენი, გამოვიდნენ კომუნისტური დროშით, აყარეს იარაღი მილიციელთ და ზოგიერთ სხვა მოქალაქეებს. მიღებული ზომებით წესიერება აღდგენილია. დაჭერილია 10 მეამბოხე, დანარჩენი 40 მიიმალნენ. საჭილაოში გამოსვლის დროს დასჭრეს კომისარი, მაგრამ აბაშისა და ხონის რაიონების გვარდიის საშველებით ამბოხება ჩაქრობილი იქნა. დამნაშავენი შეიპყრეს.

მარნის საზოგადოებაში, (სენაკის მაზრა) ადგილი ქონდა ბოლშევიკების გამოსვლას, რიცხვით 30 კაცამდე; მათ დასჭრეს საადმინისტრაციო საქმის გამგე კორძაია და დაიკავეს ფოსტა ტელეგრაფი. ექვსი მათგანი შეიპყრეს. მიღებული ზომებით სიწყნარე მსწრაფად აღდგინეს.

კულაშის საზოგადოებაში, ჯვარცმის ეკლესიასთან გამოჩნდა სამოცკაციანი შემდგარი ბრბო, მათგან შეიარაღებული იყო 40, მათ შორის იყვნენ რუსები და ჩინელები, უკანასკნელებმა დამტვრეულ რუსულ ენაზე განაცხადეს „ფულს თუ მოგვცემთ, არ გავერევითო“. ერთერთ შეპყრობილ მეამბოხის ცოლს აღმოაჩნდა წერილი ქმრისაგან, სადაც უკანასკნელი სწერს: „პაპაჟდე ფოთში ყოველივე, ჩადი ქუთაისს, მიდი იქ, სადაც მე გიჩვენე და ყოველ თვიურათ 1,000 მანეთს მიიღებო“.

ხალხში ავრცელებდნენ ხმებს, რომ თბილისში ყველგან გადატრიალება მოხდა, ფოთი ავიღეთ, ბოლშევიკური ჯარი სადგურ ქვალონს მოადგა და სხვ. უმეტეს ნაწილს, გამოსულ ბრბოსი, ხალხი იცნობს როგორც პროფესიონალურ ქურდ მაცაცებს. შეიპყრეს აგრეთვე იდეური ხელმძღვანელნი, რომელთაც ხელს ადებენ ამბოხების მონაწილენი და რომელნიც ირწმუნებიან, რომ იარაღი მათგან მიიღეს და მოქმედებდნენ ბოლშევიკების მიერ გამართული კრების დირექტივების თანახმად.

დუშეთის მახლობლად 24 ოქტომბერს დილის 4 საათზედ მოხდა თავდასხმა ბაზალეთის კომისარიატზე 4 მილიციონერს აყარეს იარაღი. სროლამ გასტანა 15 წუთს. სწრაფათ მიღებულ ზომების საშვალებით, ბრბო გაფანტულ იქნა. შეპყრობილია 6 დამცემი და ამდენივე შეთქმულების მონაწილე.

დანარჩენ ადგილებში, მიუხედავათ ბოლშევიკურ ენერგიულ კამპანიისა, არ ვითარ გამოსვლებს ადგილი არ ქონიათ. ამ ჟამათ ყველგან მთელ რესპუბლიკაში აღდგენილია სრული წესიერება.

მეამბოხეთა და მათ მეთაურთა დიდი ნაწილი შეპყრობილია, ხოლო დანარჩენთა შესაპყრობათ მიღებულია უსასტიკესი ზომები.

ამბოხების შესახებ ფიცხელი გამოძიება სწარმოებს. ყველა მეამბოხე გადაეცემა სასამართლოს შესაფერი მსჯავრის დასადებად.

ბოლშევიკთა მიერ მოწყობილ გამოსვლების დროს, აშკარათ გამოირკვა, რომ ხალხი ერთგული დამცველია დემოკრატიული წყობილებისა და ის არ წამოეგება უცხო სახელმწიფოთა მიერ მიყიდულ აგენტების ანკესზე.

შინაგან საქმეთა მინისტრი **ნოე რამიშვილი.**

ლაგოდეხის მდგომარეობა

ლაგოდეხიდან ბოლშევიკების მიერ განდევნილმა ძომრგებულმა მოსამართლემ ბ. ჰ. მიქულიშვილმა შემდეგი გადმოგვცა:

„23 ღვინობ. ღამის 12 საათზე სოფ. შრომის შეიარაღებული გლეხები რიცხვით ათასამდე დაეცნენ ციხიგაუზს, მორიგ რაზმს იარაღი აჰყარეს, დააპატიმრეს და დაიტაცეს. ლაგოდეხში შემოსვლისთანავე დატუსაღეს რესპუბლიკის მოხელეები, ოფიცრები, ერობის წევრები, ერობის ბინაზე აღმართეს წითელი დროშა ზედ წარწერით: „ამიერ-კავკასიის საბჭოთა მთავრობა, ლაგოდეხის ადგილობრივი საბჭო“. ორი დღის განმავლობაში ბოლშევიკები გაფაციცებით დარბოდნენ და არ იცოდნენ რა მოეხდინათ. ჯულფის ტელეფონით ლაპარაკმა თბილისიდან ბოლშევიკების მიმართ იმედები გაუცრუა, სამასამდე შრომელი გლეხი და მათთან ასამდე სომეხი-ზაკათალით თოფ იარაღით ტყეში გაიქცნენ, ქიზიყიდან ალ. გილაშვილის მეთაურობით ლაგოდეხში გაემგზავრა მეხნალეთა რაზმი რიცხვით 600-მდე. მდგომარეობა კვირამდე გამოურკვეველი იყო.

ამ ჟამად, ლაგოდეხში უკვე წესიერებაა დამყარებული და მეამბოხენი დატუსაღებულნი არიან.

მდგომარეობა ბათომში

რედაქციის მიერ, ავტორიტეტულ წყაროდან მიღებულ ცნობებით, ბათომის მართველობაში დიდათ მნიშვნელოვანი ცვლილება ხდება. გაზეთ „ნაშ კრაი,“ რომელიც აწარმოებდა კამპანიას საქართველოს წინააღმდეგ, ბათომის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დაიხურა.

რუსეთის სახელმწიფო ბანკი უქმდება და მის ნაცვლად არსდება ბრიტანეთის სახელმწიფო ბანკი, რომელიც მხოლოდ ინგლისელთა გამგებლობაში იქნება.

მთელი შავი ზღვის სანაპირო ექვემდებარება ბრიტანეთის საამირალოს, სტამბოლი და თვით ბათომი იქნება ბაზა ცალკე ნაწილებისათვის.

ბათომის ეხლანდელი ქალაქი საბჭო, რომელიც დანიშნულ პირთაგან შესდგება, შეიცვლება მოქალაქეთაგან არჩეულ ხმოსნებისაგან შემდგარ საბჭოთი.

ვინაიდგან მოკავშირეთა ლაშქრის მიერ საქართველოს ეკონომიური ბლოკადაა გამოცხადებული, აკრძალული იქნება საქართველოს ტერიტორიიდან ბათომით, მოკავშირეთა ტერიტორიაზედ ზოგიერთ საქონლის გატანა, ვიდრე, საქართველოსა და მოკავშირეთა შორის განწყობილება არ გაუმჯობესდება.

ბათომის და მთელი ოლქის ადმინისტრაცია და ჟანდარმერია შესდგება, განსაკუთრებით ადგილობრივ მცხოვრებთაგან და ის მოხელენი, რომელნიც მათს მოვალეობას არ ასრულებენ წესიერათ და პოლიტიკურ ინტრიგებს ეწევიან, გადაყენებულ იქნებიან თანამდებობიდან და მათ ნაცვლად დაინიშნებიან ადგილობრივი ენის მცოდნე და ნდობით აღჭურვილი პირნი.

ქრონიკა

საფრანგეთის მისია. ბათუმში მოვიდა გემი „სარკასი“ რომელიც პარასკევს მარსელში გაბრუნდება. გემით მოვიდა საფრანგეთის მისია, რომელიც ბათუმიდან გაემგზავრება თეირანში. დაბრუნებისას მისია თბილისშიც შეივლის.

◆ **საოლქო სასამართ. თავმჯდომარე.** თბ. საოლქო სასამართლოს თავმჯდომარედ, ბ. კიზირიას მაგივრად, არჩეულ იქმნა ამავე სასამართლოს წევრი ა. ჭავჭავაძე.

◆ **პირველი ქართული ლატარიის გამგეობა** ამით აცხადებს იმ აგენტების საყურადღებოდ, რომელთაც 25 ღვინობისთვემდე არ წარმოადგინეს გაყიდული ბილეთების ღირებულება და გაუყიდავი ბილეთები, რომ 31 ამ თვეს ინიშნება ფულის წარმოდგენის უკანასკნელი ვადა, რათა ორ გიორგობისთვეს შესაძლებელი იყოს სრული ანგარიშის შედგენა.

◆ **ლტოლვილთა განყოფილების ლიკვიდაცია.** ქალაქის საბჭომ დაადგინა მოახდინოს ლტოლვილთა განყოფილების ლიკვიდაცია, რომლისათვისაც გადაიდოს სანიტარულ გადასახადების შემოსავლიდან 15 მილიონი მანეთი, ფონდიდან ოთხასი ათასი მან. აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე რომ როგორც ეს 400 ათასი მანეთი ისე წინად დახარჯული 320 ათასი მან. გადაიხადოს მთავრობამ, ვინაიდან უკანასკნელის საქმეა ლტოლვილთა დახმარება.

◆ **სომხეთის მთავრობას.** ინგლისის მისიამ სომხეთის მთავრობას გადასცა 8 ვაგონი საექიმო ხელსაწყო და საავადმყოფოების მოსაწყობი ნივთები.

◆ **ნავთი სომხეთისათვის.** სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა აზერბაიჯანში მიმართა მთავრობას თხოვნით, რათა დაიჩქარონ ბაქოდან სომხეთში 250,000 ფუთი ნავთის გადაგზავნა.

◆ **ინგლისელების საწინააღმდეგო დემონსტრაცია.** თავრიზიდან ჩამოსული გადმოგვცემს, რომ ამ დღეებში იქ მომხდარა ინგლისელების საწინააღმდეგო დემონსტრატიული გამოსვლა. დემონსტრაციას მეთაურობდა ყოფილი მინისტრები, რომელნიც შეპყრობილ იქნენ მთავრობის მიერ.

◆ **ჯარში გაწვევათა შესახებ.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცირკულიარული მიწერილობა დაუგზავნა ყველა სამინისტროებს, სახელმწიფო უნივერსიტეტს, სამაზრო, საერობო და საქალაქო თვითმართველობას, რომ სასწავლებელში ან სამსახურში შესვლის დროს მოსთხოვონ ყველას მოწმობანი თუ რომელ რაიონში არიან მიწერილნი.

◆ **იძულებითი ჩამორთმევა.** თელავის ქალაქის თვითმართველობამ წარმოუდგინა შინაგან საქმეთა მინისტრს იძულებით ჩამორთმევის კახეთის მცირე ნდობის დაწესებულებათა კავშირისაგან თელავის ქალაქის საკუთრებად, რომელიც ქალაქის საბჭოს დადგენილებისა უნდა მიეცეს კავშირს იმოდენა ფასი რაც თითონ კავშირს მიუცია ამ მამულში საბჭოს ცნობით ე. ი. 125,000 მანეთი.

◆ **ტუსაღის შეპყრობა.** გორის მაზრის კომისარი დეპეშით ატყობინებს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ სოფელ ძევეში შეუპყრიათ დუშეთის ციხიდან გაქცეული პატიმარი მიშა კვახაძე, რომელსაც ბრალდება ბერმირიანის მოკვლაში მონაწილეობის მიღება.

◆ **შეიარაღებული თავდასხმა** დუშეთის ბაზრის კომისრისაგან შინ. საქ. მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო: 23 ოქტომბერს ღამის 4 საათზე მოხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქენო! ეჩქარეთ ლატარიის ბილეთების შესაძენად
I მოგება—100.0000 II მოგება—50.0000 და სხ.
მომგებთა გასასტუმრებლად გადადებულია ნახევარი მილიონი მანეთი ბილეთი ღირს 25 მან. კუპონი ღირს 5 მან.
ლატარიის გათამაშება მოხდება სახელმწიფო თეატრში 2 გიორგობისთვეს,
ლატარიის კანტორა: დამფუძნებელ კრების ქ. (ყოფილი სასახლის)№ 5, ტელ. 7-61.
(219—6—3)

და შეიარაღებული თავდასხმა ბაზალეთის კომისარიატზე დუშეთის მახლობლად სახელმწიფო გზაზე, სადაც აჭყარეს 4 მილიციონერს იარაღი. სროლამ გასტანა 15 წუთი. სწრაფად მიღებულ ზომებით ბრბო გაფანტულ იქმნა, რომელთაგან დაკავებულ იქმნა 6 დამცემთაგანი. შემდეგ შემთხვევა აღარ განმეორებულა.

◆ **ყაჩაღთა მოკვლა.** ქუთაისის მაზრ. კომისარი დეპეშით ატყობინებს შინ. საქმეთა მინისტრს, რომ 22 ოქტომბერს წყალტუბოს საზოგადოებაში სოფ. ქვილიშორაში მოკლულ იქმნა ყაჩაღი ნიკოლოზ ცანავა და შეპყრობილია მისი ამხანაგი—უგლავა. ზუგდიდიდან მაზრის კომისარი დეპეშით ატყობინებს შინ. საქმ. მინისტრს რომ მოკლულ იქმნა ყაჩაღი ბურდუშვილი და დაჭრილ იქმნა ყაჩაღი ცაგურია.

ქალაქის საბჭოში.

◆ ქალაქის საბჭომ 27 ღვინობ. სხდომაზე დაადგინა: **კარლინსკის სახლის ჩამორთმევა.** ჩამოერთვას მილიციის სამმართველოს საჭიროებისათვის ბ. კარლინსკის სახლი, რომელიც მდებარეობს საპიორის ქუჩაზე № 5. მიეცეს მას სახლში 376,333 მან. აქედან 75,000 მან. ახლავე მიეცეს დანარჩენი კი გადეხადოს 2 თვის განმავლობაში.

◆ **ალექსანდრეს სახელობის სავადმყოფოს გახსნა.** გაიხსნას ყოფილ ალექსანდრეს სახელობის სავადმყოფო, 1 ნოემბრიდან, ხსენებული სავადმყოფო გადაეცეს კლინიკისათვის სახელ. უნივერსიტეტს რომელთანაც უკვე დადებულია ხელშეკრულება.

ქალაქის გამგეობაში.

◆ **ცენტრო-საწყობი.** ქალაქის გამგეობამ თანახმათ გამგეობის წევრის ბესელიძის მოხსენებისა დაადგინა: დაარსდეს ცენტრო-საწყობი, როგორც მუდმივი დაწესებულება. ცენტრო-საწყობში თავს მოიყრის ქალაქის ყველა ტეხნიკურ და სამშენებლო საწყობების საქონელი.

◆ **პარალელური განყოფილებანი.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა გახსნან პარალელური განყოფილებანი ავლაბრის ქალთა სასწავლებელთანა და ვერის 1 უმაღლეს სასწავლებელთან.

სამხატვრო ქრონიკა

თეატრი და მუსიკა.

სახელმწიფო თეატრი. დღეს, ახალ დეკორაციებით იდგმის „აიდა“. ხვალ, „ტრავიატა“. პარასკევს, „რუსალკა“.

ნ. ევრეინოვის თეატრი. მალე თბილისში გაიხსნება ნ. ევრეინოვის თეატრი. რეპერტუარი ამ თეატრისათვის უკვე გამოცხადებულია: ე. კერნარნი: „ალიონები“, გ. ბერნარდ შოუ „გაბრიელ დანუნციო“, გაბრ. დანუნციო: „სიმღერა შემოდგომის დაისისა“. გრიგოლ რობაქიძე „ლიანდა“, ვასილი კამენსკი „სტენკა რაზინი“, ნ. ევრეინოვი „უმთავრესი“ და ფ. მარინეტი „მეფე ქეიფი“. ოსკარ უაილდი: „ლედი უინდერმერის მარაო“. კოსმა პრუტკოვი „ჩერეპოსლოვ-ფრენოლოგი“...

ვალერიან გაფრინდაშვილი. თბილისში მალე გამოვა წიგნი, რომელიც მიეძღვნება პოეტ ვალერიან გაფრინდაშვილს, წიგნში მოთავსებული იქნებიან წერილები: გრ. რობაქიძის, პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, ლელი ჯაფარიძის, გ. ლეონიძის, ნ. მიწიშვილის... ყველა წერილები შეეხებიან ვალერიან გაფრინდაშვილის წიგნს „დაისები“.

ვასილ ბარნოვის სურათის ხატვა დაიწყო მხატვარმა დავით კაკაბაძემ.

„მწერლის დღე“. დღეს, საღამოს 7 საათზე ყოფილ „ანონას“ ბინაში დანიშნულია მწერალთა კავშირის საბჭოს და „მწერალის დღის“ მომწყობ კომისიის შეერთებული კრება.

„ახალი ლოტარეა“. ქართულმა მხატვრულმა ცენტრმა შუამდგომლობა აღძრა ფინანსთა მინისტრის წინაშე, რომ ნება დართოს ცენტრს გამოუშვას 7 მილიონიანი ლოტარეა, უნივერსიტეტის, კანტორის, კონსერვატორიის და მხატვართა და მწერალთა სასარგებლოდ.

„სახალხო უნივერსიტეტში“. 27 ოქტომბერს სახალხო უნივერსიტეტში გაიხსნა სტუდია არხიტექტურის და მხატვრობის კალოშნიკოვის და კ. ზდანევიჩის ხელმძღვანელობით. გახსნას დაესწრო სერგეი სუდეიკინი.

„შვიდი მნათობი“. გამოვიდა გასაყიდათ და რედაქციამ მიიღო მეორე ნომერი ჟურნალის „შვიდი მნათობი“ (ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის გამოცემა) რომელშიც მონაწილეობენ: გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, დავით და სარგის კაკაბაძენი, ვ. ბამე, ა. სვანიძე, შ. გოგებაშვილი, ი. ბერიტაშვილი და სხვ. ტექსტში მოთავსებული ბევრი რეპროდუქცია. წიგნი შეიცავს 470 გვერდს და ღირს 75 მან.

ეკონომიური ცხოვრება

სააქციო საზ. „საქართველო“

26 ღვინობისთვეს ქ. ქუთაისში შესდგა ყველა მაზრების აქციონერთა წარმომადგენლების კრება, კრებას დაესწრნენ თითქმის ყველა მაზრიდან შორაპნის მაზ.—მირ. ბასილია დირექტორი ყვირილის საურთიერთო ბანკისა (დელეგატი ტრ. ნიორაძე), ფოთიდან—მიხ. ესაკია, სენაკიდან ვაჭარი — ზ. საშვილი, ოზურგეთიდან რწმუნებულია საზ. საქმეთა მთავარი მმართველი ბ. ტიტე მარგველაშვილი. ქუთაისიდან ნოე გამყრელიძე (ვაჭარი), ალექსანდრე ლლონტი (ვაჭარი—დამფუძნებელი) და პ. უზნაძე—საურთიერთო ბანკის თავმჯდომარე და სხ. კრებამ იქონია მსჯელობა საორგანიზაციო საკითხებზე და გამოიტანა ერთხმათ თავისი დადგენილება, რომ განსაკუთრებულმა კომისიამ შვიდი დღის განმავლობაში მოაწყოს საზოგადოების ორგანიზაციული საქმეები თბილისში. ხელის მოწერა გაგრძელდეს ახალ განკარგულებამდე. კომისიაში არჩეულ: ბ-ნნი ტიტე მარგველაშვილი, პავლე უზნაძე, ალ. ლლონტი, მირ. ბასილია, მიტ. ლალიძე. ეს კომისია შეუდგება ხსენებულ საორგანიზაციო საკითხის მოგვარებას თბილისში მომავალ შაბათს. ეს მუშაობა უნდა დამთავრდეს. აქციებზე ხელის მოწერა გრძელდება კრების დადგენილებით სათანადო განკარგულებამდე, რაც ეუწყება საორგანიზაციო კომიტეტებს მაზრებში.

სასამართლოში

სენატის ბინა.

საქართველოს სენატის ორივე (სამოქალაქო და სისხლ. სამართლისა) დეპარტამენტი მოთავსდა საოლქო სასამართლოს შენობის შუა სართულში,—ალექსანდრეს დარბაზში,—და კიდეც შეუდგა თავის საქმეების წარმოებას.

სენატორობის სურვილი.

თბილ. მეექვსე უბნის გამომძიებელმა ქავთარაძემ მთავრობის თავმჯდომარეს მიართვა თხოვნა, რომელშიც აუწერს, რომ სტუდენტობის დროს ჟანდარმერია დაჭერას მიპირებდა, პარტიული კაცი ვიყავი, დემოკრატიისთვის ვიტანჯებოდი და, ამისათვის, გთხოვთ სენატორად დამნიშნოთო. ამის გამო იუსტიციის სამინისტრომ უპასუხა, გამომძიებელი მოვალეა იცოდეს, რომ სენატორს მთავრობა კი არა ნიშნავს, დამფუძნებელი კრება ირჩევსო.

ექიმებ მაღლევსკების მკვლელობის საქმე.

სურამში დახოცილ მამა შვილ მაღლევსკების საქმე გაირჩევა თბილ. დრ. საგანგებო სასამართლოში ქრისტეშობისთვის 4 ს. პასუხისგებაში მიცემულნი არიან: ალექსანდრე გოგიბერიძე, ნესტორიან ჯაველიძე, შალვა ჩანტლაძე, დანიელ ჩანტლაძე და ნიკოლოზ ჯობაძე, რომელთაც ბრალი ედებათ სს. დ. 125, 1,629, 1,632 და 1,639 მუხლებით გათვალისწინებულ ბოროტმოქმედებაში. საბრალმდებლო აქტი შედგენილია ბრალდებულის ამხანაგის ალ. ყანჩელის მიერ. ბრალდებულთ დამცველებათ ჰყავთ: იოს. ბარათაშვილი, ივ. კაჩუხაშვილი და კირ. ნინიძე. გამოწვეულია 43 მოწმე.

ბუაჩიძის საქმე.

სახელმწიფო უნივერსიტეტში თავისი მეუღლის მომკვლელის ივ. ბუაჩიძის საქმე, რომელიც ღვინობისთვის 22-ს უნდა გარჩეულიყო და ბუაჩიძის ავადმყოფობის გამო გადაიდო, გაირჩევა საოლქო სას. სისხ. სამ 2 განყოფილებაში ღვინობისთვის 10-ს.

აზერბაიჯანი

ბაქოს საოლქო სასამ. ბრალმდებელი ერისთავი.

ბაქოს საოლქო სასამართლოს ბრალდებელი ერისთავი თავს ანებებს თანამდებობას. ეს გარემოება აზრთა დიდ გაცვლა გამოცვლას იწვევს იმ წრეებში სადაც ერისთავს კარგად იცნობენ. მის უმწიკვლოებაში ყველა მისი თანამშრომელი და ახლო მდგომი პირები ღრმად დარწმუნებულნი არიან, მაგრამ იგი შეიქმნა მსხვერპლი თავისი ერთგულობისა და იმ პირებისადმი ნდობისა, რომელნიც მეცადინეობდენ ხან მუსტაფაევის გასათავისუფლებლად. „ზაკ“.

კაბინეთის შედგენა.

გაზ. „ბაკინეც“ კაბინეთის კრიზისის შესახებ სწერს: „უკანასკნელი ხანებში უსუბბეკოვის მიერ კაბინეთის შედგენის პროცესი უფრო ხელსაყრელ პირობებში ხდება, და მაღალი წრეების ცნობით კაბინეთის შედგენის საქმე ამ ერთი კვირის განმავლობაში საყოფიერად დასრულდება. ამ საკითხის შესახებ პრემიერ მინისტრს უსუბბეკოვს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა პარლამენტის თავმჯდომარესთან აღაევთან.

მთავრობის კრიზისი

ამავე საკითხის შესახებ გაზ. „ბაკინსკოე სლოვო“ სწერს: მთავრობის კრიზისი,—რომელიც შეიქმნა იმიტომ, რომ არ არსებობდა ერთი მთლიანი სამთავრობო ცენტრისათვის მტკიცე ნიადაგი ახლა სასურველ შედეგს აღწევს მუსავატის ბანაკში 7 უპარტიოთა წევრების გადასვლის გამო. მუსავატის პარტიაში კიდევ 11 წევრის შემატებას მოელიან სხვა ფრაქციებიდან. ამბობენ, რომ მომავალი კაბინეთი წმიდა ეროვნული შემადგენლობის იქნება და მონაწილეობას მიიღებენ სოციალისტური ფრაქციების წარმომადგენლებიც.

ინგლისის სამხედრო მისია.

ბაქოში მოელიან ინგლისის სამხედრო მისიას 7 კაცისგან შემდგარს კაპიტან დელლას მეთაურობით. მისია მოთავსდება სამხედრო მინისტრ გენერალ მეჰმანდაროვთან.

მუსავატის პარტიის ყრილობა

21 გიორგობისთ. ბაქოში დანიშნულია მუსავატთა პარტიის ყრილობა. ყრილობაზე მოხსენებით გამოვლენ პრემიერ მინისტრი უსუბბეკოვი, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე აღაევი და პარტიის ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარე მ. რასულ ზადე.

ა. მელიქოვის შეპყრობა

ასტრახნიდან პეტროვსკში ჩავიდა ბაქოელთა დელეგაცია ცნობილი ნავთის მრეწველის ა. მელიქოვის მეთაურობით. დელეგაციას მიზნად ჰქონდა დასახელი შუამდგომლა მოხალისეთა წინაშე, რათა ნება დაერთოთ ასტრახნიდან მუშით ბაქოში წამოეყვანათ ბაქოელი ლტოლვილები. მთელი დელეგაცია მელიქოვითურთ შეიპყრეს და წარუდგინეს ბრალდება თითქო ისინი ასტრახანის ბოლშევიკებთან სამსახურში იმყოფებოდენ და კომუნისტური პარტიის განმტკიცებას ხელს უწყობდენ, შეპყრობილნი ასტრახანიდან პიატიგორსკის საპყრობილეში გადაიყვანეს.

გაზ. „ბედნოტას“ დახურვა და დაჯარიმება.

გაზ. „ბედნოტას“ რედაქცია ღვინობისთვის მე-20 №-ში მოთავსებულ წერილის „ზაქათალას“ გამო დააჯარიმეს 10 ათას მანეთით. ამავე დროს სახელმწიფოს თავდაცვის კომიტეტის დადგენილების პირველი და მეორე პუნქტის ძალით გაზეთი სრულიად დაიხურა.

გრ. რობაქიძე.

ბაქოში ჩამოვიდა ცნობილი ლიტერატორი და ფილოსოფოსი გრ. რობაქიძე. („ბაკინეც“).

სომხეთი

ავტომობილების მიმოსვლა.

მალე დაიწყება ავტომობილების მიმოსვლა ეჩმიაძინის, ყარაქილისის, ნორ-ბაიაზეთის, ალზვნის, იგდირის, იჯევანის და სხვა პუნქტებს შორის. („აზხატ.“)

პოლკ. ჰასკელის მოადგილე.

ერევანში პოლკ. ჰასკელის მოადგილეთ პოლკოვნიკი ტელფორტი დაინიშნა. („აზხ.“)

ინგლისის საწინააღმდეგო დემონსტრაციები ქალ. თავრიზში

თავრიზიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ, რომ თავრიზში მომხდარა დემონსტრაციები ინგლისის წინააღმდეგ შაჰსევანების ხელმძღვანელობით. მეამბოხეთა შორის ყოფილან საგანგებოდ ჩამოსული ოსმალოსა და აზერბაიჯანის აფიცრები. მთავრობას დაუპატიმრებია ყოფილი მინისტრები და გადაუსახლებია თეირანში მთავრობის ძველი გენერალ-გუბერნატორი სეფა სალარი. შეიარაღებული შეტაკება არ მომხდარა. თავრიზის—არდაბილის—ასტარა რკინის გზის უზრუნველყოფისთვის მთავრობას ჯარები გაუგზავნია. ახლა სიწყნარეა. მთავრობა ყველა ძალღონეს ახმარებს მეამბოხეთა დასაწყნარებლად. („აზხატ.“)

უცხოეთის ამბები

ჟურნალ გაზეთებიდან.

ჰინდენბურგი

სახალხო პარტიის აღმასრ. კომიტეტმა გადაწყვიტა გერმანეთის საპრეზიდენტოდ ჰინდენბურგის კანდიდატურა წამოაყენოს.

ამერიკელები

სტამბოლიდან ანატოლიაში გადმოსხეს ამერიკელი ლაშქრის დივიზია სომხებსა და თათართა კონფლიქტის დასაცხრომად.

საერთაშორისო სიძვირე

საერთაშორისო სიძვირე დღეს გამოიხატება შემდეგის ციფრებში: იტალიაში ნაწარმოების ფასმა მოიმატა 48 პროც. საფრანგეთში—368 პროცენტით, შვეიცარიაში,—220 პროც.

ამერიკა.

ამერიკაში გაცხოველებული მუშაობაა ზანგების თვით გამორკვევისათვის.

გაზ. „პრავდა“ ამერ. კავ. შესახებ.

გაზ. „პრავდა“ სწერს: „ჩვენ, მტკიცე ნიადაგი რომ შეგვექმნა თბილისისა და ბაქოს დემოკრატიაში, სამხრეთ რუსეთსა და მთელ კავკასიას მოვიმხრობდითო“-ო.

ზავი გერმანელებსა და ბოლშევიკებ შორის

გერმანული გაზეთები იუწყებიან, რომ ბაუერის სამინისტრომ მიიღო შეიდემანის პროგრამა გერმანეთისა და კომუნისტურ რუსეთის ზავის შესახებ. ბაუერმა თავის წარმომადგენლები გაგზავნა მოსკოვში. მთავრობის წრეებში გარკვევით არაფერს ამბობენ მოლაპარაკების შედეგის შესახებ.

ვილჰელმი

ბრიუსელიდან იუწყებიან, რომ ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრს პარიზიდან ვილჰელმის ჩაბარებას სთხოვენ.

პოლონეთი და უკრაინა

პოლონეთი და უკრაინა შეთანხმდენ ბოლშევიკების წინააღმდეგ საერთო ძალით ბრძოლის პირობებში. პოლონეთმა თავისი ჯარი არ უნდა შეიყვანოს პეტლიურას მიერ დაჭერილ ტერიტორიაზე, ხოლო უკრაინა უარს ამბობს აღმოსავლეთ გალიციის გარშემო თავის პრეტენზიაზე.

დეპეშები

(საქართველოს დეპ. სააგენ.).
ღვინობისთვის 26.

სამხრეთ რუსეთის შეარაღ. ძალების მთავარ-სარდ. შტაბის ოფიც. ცნობა.

ტაგანროგი, ღვინ 14—27. ასტრახანის მიმართ. საზღვაო რაზმების ფრონტზე მტერმა აქტიური მოქმედება დაიწყო. ჩერნოიარის მიმართ. ჩვენი გემების არტილერიამ ცეცხლი დააყენა კამიშინის მიმართ. ვოლგის მარცხენა ნაპირზე ჩვენმა ნაწილებმა ვერხნე-ახტუბინსკი დაიჭირა. მარჯვენა ნაპირზე მზვერავების შეტაკებაა. ბალაშოვის მიმართ. მედვედიცისა და ილოვლის შუა მდგომარეობა უცვლელია. ხოპრის და მედვედიცის შუა ჩვენი შეტევა ვითარდება. დაჭერილია სადგ. გლაზუნოვსკაია და სკურიშენსკაია. წამოიყვანეთ 800 ტყვე, ხელში ჩავიგდეთ 6 ტყვიისმფრქ. და სხვა დავლა. მედვედიცაში ბევრი წითელი დაიხრჩო. ერთი კომუნ. პოლკი სრულიად განადგურდა სად. კუმილგი ფილონოვის რაიონში მდგომარეობა უცვლელია. სად. ურუპინსკაიას მხრიდან მტერი შეტევაზე გადავიდა და დაიჭირა დემონი, დოლგი და როგაჩევი. ვორონეჟის მიმართულებით ტალოვის ჩრდილოეთით მდ. ბიტიუგზე ჩიგლაიასა და ქალ. ბობროვის შუა მდგომარეობა არ შეცვლილა, ბობროვის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენ ნიკოლაევკა და მასლოვკა დავიჭირეთ. მდ. იკორცის შესართავის აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა დონის მარჯვენა ნაპირისკენ დაიხია. ვორონეჟის სამხრეთით და დასავლეთით მოწინავე რაზმების შეტაკება ხდება ჩვენ სასარგებლოდ, ტულის მიმართულებით ელეცის დასავლეთით ს. იზმალკოვის და პოლუსპენსკის რაიონში ბრძოლაა. ნოვოსილისის რაიონში მდგომარეობა არ შეცვლილა. ორიოლის სამხრეთით სად. სტიბზე მტრის იერიშები მოვიგერიეთ: მას ზარალი მივაყენეთ. კრომის ჩრდილო-დასავლეთით მტერი უშედეგოდ გვიტევს. ქალ. პოკროვსკისაკენ ბრძოლის შემდეგ ჩვენი ჯარი იძულებული შეიქნა უკან დაეხია და სამხრეთისკენ წასულიყო. მდგომარეობის აღსადგენად ზომებია მიღებული.

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი, ოქტომბრის 27. (ც. ა. პ. ბ. ბ. ბიულეტენი).

ტულა, ოქტომბრის 26. არიოლში თეთრების ყოფნის დროს ყაჩაღობის და ძალდატანებისაგან 5000 მეტი დაზარალდა. მოკლულია 30 კაცი.

სარატოვი, ოქტ. 22. „კუბანსკი კრაი“, იუწყება რომ ნიკოლაევში გემების ასაშენებელ ქარხნის დირექტორმა და მუშების შორის ჯამაგირების დაკლებას და სამუშაო დღის მომატების გამო უთანხმოება მოხდა, რამაც პოლიციის ჩარევა გამოიწვია. მუშების დაპატიმრების გამო სამხედრო გემების კეთება შეჩერებულია. დაპატიმრება გრძელდება.

სამხედრო ცნობა. ოქტ. 27. ფინეთის ყურის რაიონში წითელმა ჯარმა 10 ვერსით წინ წაიწია, კრასნოე სელო და რამდენიმე სოფელი დაიჭირა. მტრის დევნა გრძელდება. თარგის რაიონში ჩვენ სად. ზოგასიე დავიჭირეთ. სევსკის რაიონში ბრძოლა ჩვენ სასარგებლოდ მიმდინარეობს. ჩვენ ქალაქი დმიტროვსკი დავიჭირეთ. ორიოლის რაიონში მდგომარეობა არ შეცვლილა. ელეცის რაიონში ჩვენი ჯარი დონისკენ მიიწევს. ბობროვის რაიონში სად. ტალოვაიას ჩრდილოეთით 20 ვერს. ბრძოლაა. ნოვო-ხოპერის რაიონში მტერი ხოპრის მარჯვენა ნაპირისაკენ განვდევნეთ. სადგ. მიხაილოვსკოეს და ტენიკინსკაიის სტანიცას რაიონში ჩვენი შეტევა ვითარდება. უსტ-მედვედიცას რაიონში კუმილგასა და მედვედიცას შუა ჩვენ ტყვეები წამოვიყვანეთ. ხელში ჩავიგდეთ 7 ტყვიისმფრქვეველი და სხვა სამხედრო მასალა. პეტროპავლოვის რაიონში ჩვენი ჯარი 70 ვერსით სამხრეთ-დასავლეთით. ილუშოროვის რაიონში ჩვენი შეტევა გრძელდება. წამოვიყვანეთ ტყვეები, ხელში ჩავიგდეთ ტყვიისმფრ. საველე შტაბის სამხ. კომისარი დანიშევსკი.

მოსკოვი, ოქტ. 28. მთელ პეტროგრადის ფრონტზე წითელი ჯარი შეტევაზე გადავა.

თავდაცვიდან-შეტევისაკენ, ასეთია საზეიმო გზა ზავისკენ, პურისა და ნახშირის საშოვნელად. თავდაცვის კვირა უნდა გადაიქცეს შეტევის კვირად. კონტრ-რევოლიუცია საბოლოოთ უნდა მოისპოს. არეულობამ და მღელვარებამ ყუბანში ფართე ხასიათი მიიღო: დენიკინის მიერ გამოცხადებულმა მობილიზაციამ უშედეგოთ ჩაიარა გერმანელებმა გენერალ ვრანგელს განუცხადეს: „რისთვის უნდა ვიბრძოლოთ ბოლშევიკების წინააღმდეგ, როდესაც ჩვენი ოჯახები შიმშილით იხოცებიან და მთელ ჩვენ ჯარს კი ინგლისელებს აძლევენ. „ცარიცინის მაზრაში პარტიზანულ რაზმებში 3000 კაცი ითვლება. კარგათ შეიარაღებული პარტიზანები დენიკინელებს ამარცხებენ და რკინის გზის ხიდებს ანადგურებენ. უკრაინაში მახნოს რაზმმა ბერდიანსკი და ნიკოპოლი დაიჭირა. როსტოვში გაფიცვები გრძელდება. ხარკოვში, ნახშირის უქონლობის გამო, ელექტრონის სადგურმა მუშაობა შესწყვიტა. ქალაქი სიბნელით არის მოცული. ლიონიდან ამერიკის რადიო იუწყება: „მოკავშირეებმა, რომლებიც მხარს უჭერენ დენიკინს, უნდა შეიგნონ, რომ მისი „ზურგი“ საშიშ მდგომარეობაშია. კასპიის სანაპიროებში ახალი მღელვარების გამო შესაძლებელია, ბაქოდან ნავთის შემოზიდვა შესწყდეს.

დაღესტანის მცხოვრებელნი დენიკინის წინააღმდეგ აჯანყდნენ, რადგან დენიკინი მათ ჯარში გაწვევას შეეცადა. დენიკინის მდგომარეობა, ზურგში და ჯარში პოლიტიკურ მღელვარების გამო, მტკიცე არ არის, მას იმ დრომდე დაემორჩილება ჯარი, სანამ ექნებათ მათ ნება ძარცვა-გლეჯისა.

მოსკოვი, ოქტ. 27. იტალიაში აგრარულ ნიადაგზე მღელვარებამ მკაცრი ხასიათი მიიღო ყოველდღე მოდის ცნობები მემამულეების მოსავლის დაწვისა და ვენახების განადგურების შესახებ. პარიზში, საფინანსო დაწესებულებებში მოსამსახურეები გაიფიცნენ. მოელიან საწყობების და სხვა მუშების გაფიცვებს. სენის სამხრეთ ნაპირზე პარიზის სავაჭრო სამრეწველოების მოსამსახურეებმა გაფიცვა უკვე გამოაცხადეს. 20 ოქტ. მთელ პოლონეთში სოფლის მუშათა გაფიცვები დაიწყო.

ლიონის რადიოსადგურის ცნობა

საოკუპაციო ჯარები.

მარშალმა ფოშმა უმაღლეს საბჭოს აუწყა, რომ მოკავშირეთა შტაბებთან შეთანხმებით შეიმუშავა სამხედრო ზომები, რომელიც საზავო ხელშეკრულებასთან ერთად უნდა განხორციელდეს. მოკავშირეთა საოკუპაციო ჯარების შემადგენლობა სხვა და სხვა ადგილებში უკვე შემუშავებულია. ამერიკულ ჯარის მონაწილეობა დამოკიდებულია ვაშინგტონში სენატის მიერ საზ. ხელშეკრულების დადასტურებაზე. ფოში დარწმუნებულია, რომ საოკუპაციო ჯარების გადაჯგუფება ნოემბრამდე დასრულდება, რის შემდეგაც მოხდება რატიფიკაციების გაცვლა და ხელშეკრულება ძალაში შევა.

გერმანული პრესა

მიულლერის განცხადება საზავო ხელშეკრულების გამო

ეროვნულ ყრილობაზე ხუთშაბათს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიულერმა განაცხადა: „ჩვენ მზადა ვართ საზ. ხელშეკრულების პირობები შევასრულოთ და ყოველ მხრივ ვეცდებით ამას. მაგრამ განა შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი გუშინდელი მტრები გაიგებენ ჩვენ მდგომარეობას. ამას წინად საფრანგეთის მინისტრმა სენატში განაცხადა: სიძულვილი ხელს ვერ შეუშლის საკითხის გადაწყვეტასაო. ეს მართალია, მაგრამ ასეთი კი არის საფრანგეთის პოლიტიკა?

დიდი მოხელის უსაქციელობა

(წერილი რედაქციის მიმართ)

ბ-ნო რედაქტორო, ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით საზოგადოების მსჯავრის დასადებად გავხადოთ შემდეგი ინციდენტი:

ამა თვის ათს საქმეების გამო ბათომს მივემგზავრებოდი. თბილისის რკინის გზის სადგურზე დავინახე რკინის გზების გენერალ-გუბერნატორი და ამავე დროს ქალაქის მილიციის უფროსი ბ-ნი სულაქველიძე. მივედი და გამოვეცნაურე; ვაცნობე რომ თბილისის ქალაქის ხმოსანი ვიყავ და რომ როგორც ძმ. სესიაშვილების ფირმის წარმომადგენელი ბათომს მივდიოდი, სადაც „რუსეთ-აზიის“ ბანკიდან ფული მქონდა წამოსაღები. ვაუწყე ამასთან, რომ თან მქონდა შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან რევოლვერის ტარების ნებართვა და ვსთხოვე, რასაც, თავის საგენერალ-გუბერნატოროში ნება დაერთო ჩემთვის რევოლვერის ტარებისა.

ამას პასუხად, საკმაო ზვიადობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უკმეხად შემნიშნა:

მერე და შენ გგონია რევოლვერიც რომ გქონდეს, თავის დაცვა შეგიძლიაო. მთელი ჩემი ქონება თან მექნებოდა, ჩემი, და ძმ. სესიაშვილების და რა გასაკვირი იქნებოდა, რომ თუ ვინმე თავს დამესხმოდა, მის წინააღმდეგ რევოლვერიც მეხმარა და ამის შეგნებით ვუპასუხე, საკუთარი თავის დაცვაში არა მგონია თქვენზე ნაკლები ვაჟკაცი ვიყო მეთქი. ამის თქმა და მისი ყვირილი:

„Убирантес вонъ, я вам покажу вашу дорогу"-ო, ერთი იყო. ამას მოჰყვა სხვა სიტყვებიც და აუარებელ ხალხის თვალწინ, სადგურზედ, ამგვარად, მომდგა და შეურაცყოფა დამიწყო.

ბ-ნი სულაქველიძის თავდაუჭერლობა და მისი საჯარო ალმაშფოთებელი ინციდენტი ბ-ნ მიქაბერიძესთან ჩემთვის ცნობილი იყო და ეს სახეში მივიღე. ამის შემდეგ მე ჩემი რევოლვერი იქვე ბუფეტში გადავეცი და ვსთხოვე შეენახათ, ან ჩემს ბინაზე გაეგზავნათ, წაველ და კუპეში ჩემი ადგილი დავიჭირე.

ბ-ნ სულაქველიძეს ალბათ უფიქრნია, რომ მე რევოლვერს თან წავიღებდი და რომ ჩემთვის სკანდალი შეემთხვია, გზაში ჩემი განჩხრეკის ბრძანება გაუცია. ეს მისი თანამდებობის საქმეა, თუმცა რაც მე გამოვეცნაური მის შემდეგ, არა მგონია ამას საბუთი ჰქონოდა მომქცეოდა, როგორც ვინმე მძარცველს ან საეჭვო პირს.

მართლაც სადგურ რიონს, რომ მივუახლოვდი, მომვარდნენ და გამჩხრიკეს, მაგრამ რაც არ მქონდა, იმას ვერ მიპოვნიდენ.

თავი დავანებოთ იმას, რომ მე მცხოვრებთა მიერ არჩეული ხმოსანი ვარ იმ ქალაქის საბჭოსი, რომლის ჯამაგირზედ აყვანილი მოხელე ბრძანდება ბ-ნი სულაქველიძე და რომ მას მართებდა ერთგვარის ნდობით და ყურადღებით მოპყრობოდა, და მინდა ვიკითხო, ნეტავი როდის მიეცემა ქართველ მოქალაქეს იმის გარანტია რომ როდესაც იგი თხოვნით მიმართავს რესპუბლიკის მოხელეს, მით უმეტეს ისეთ მაღალ მოხელეს, როგორიცაა გენერალ-გუბერნატორი, ამ თხოვნისათვის მისგან იგი საჯაროთ გალანძღული და შეურაცყოფილი არ იქნება?!

თბილისის ქალაქის ხმოსანი

დ. კალანდაძე.

თანამედროვე იტალია

გაზ. „სოკოლიი"-სა და „ილ ნუვო ჟურნალი"-ს თანამშრომელი კონსტან ზარიანი ასე მოგვითხრობს იტალიის დღევანდელ მდგომარეობას:

პარლამენტი.

იტალიაში პარლამენტი დათხოვნილია და ახალი არჩევნები 15 ნოემბრისათვისაა დანიშნული. პარლამენტის დათხოვნა აუცილებელი იყო სხვა და სხვა მიზეზების გამო. როგორც ევროპის ყველა სხვა საკანონმდებლო დაწესებულებებმა, იტალიამაც დაასრულა თავისი რწმუნებულობის ვადა.

ომის დროს არჩევნების წარმოება არ შეიძლებოდა, რადგან ხალხის უმრავლესობა ფრონტზე იყო და პოლიტიკურ უფლებების გარეშე იდგა. მთელ ომის განმავლობაში იტალიის პარლამენტს შერჩენ ის საზოგადოებრივი და პარტიული ძალები, რომელნიც ომამდე იყვნენ. ცხოვრება კი წინ მიდიოდა. ამ ხნის განმავლობაში იტალიის პოლიტიკური პირობები და საზოგადოებრივი ძალთა ურთი-ერთობა არსებითად შეიცვალა და პარლამენტის შემადგენლობა, უკვე ვერ გამოხატავდა იტალიის სინამდვილეს.

დღეს ახალ ნიადაგზე ეყრება ნიადაგი გამორკვეულ იტალიას. მთელი რიგი დიდი საკითხებისა რომელიც წარმოიშვა ომისა და რევოლიუციის პროცესში, გადასაჭრელი აქვს იტალიის ხალხს, რადგან ამ საკითხებს უდიდესი მნიშვნელობა ექნება იტალიის მომავალი ისტორიისათვის. ეს საკითხები უნდა გადაჭრას პასუხისმგებელმა პირებმა და დიდი უკუღმართობა იქნებოდა, რომ ეს ძველი შემადგენლობის პარლამენტს დაეკისროს.

რადიკალიზმი სოციალის სიმტკიცით დამკვიდრდა მოწინავე საზოგადოებაში. სახელმწიფოებრივი აშენებლობის კალაპოტი ღრმავდება და ეხლა საჭიროა ის პრაქტიკული სიბრძნე, რომელიც ახასიათებს იტალიელის ბუნებას,—და რომელმაც უნდა გაამაგროს ახალი იტალიის სოციალური ცხოვრება.

იტალიაში თითქმის ყველგან შემოღებულია 8 საათის სამუშაო დღე, სრულიად უმტკივნეულოდ. პარლამენტმა დათხოვნის წინ გასინჯა საარჩევნო კანონი და ქალებს მიანიჭა საარჩევნო უფლება. მარტო ეს გარემოება არსებითად სცვლის ამ ქვეყნის პოლიტიკის აქტებს. არჩევნების მოსაწყობად, დღეს დიდი მუშაობა სწარმოებს.

პოლიტიკური პარტიები.

დღევანდელ იტალიაში მომქმედ ყველა პოლიტიკურ პარტიათა შორის, განსაკუთრებულ ძალას წარმოადგენს იტალიის კათოლიკურ-ხალხოსნური პარტია; მათი სოციალური პროგრამის შინაარსი ძლიერ უახლოვდება სოციალისტურ პროგრამას.

იტალიელ სოციალისტთა შორის ომის დაწყებისთანავე განხეთქილება მოხდა. პარტიის მომგერიებელმა ფრთამ, — რომელსაც პარლამენტში ბისოლატის მეთაურობით უმრავლესობა ჰყავდა,—დაარსა პარტია სოციალისტ-რეფორმატორებისა.

სოციალისტებს მეორე ნაწილი გაიყო ორ ფრაქციათ: უფრო ზომიერი მიმდინარეობისა და უფრო მცირე რიცხოვანის მეთაურნი არიან ტურატი და ტრევასი: მემარცხენე უმრავლესობას კი, რომელიც კომუნისტებს უახლოვდება, მეთაურობს სერატი და ლაზარი.

შემდეგ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენენ რესპუბლიკანური და მონარქისტული პარტიები.

გაბრიელ დ'ანუნციო და მარინეტტი.

დ'ანუნციოს შესახებ უნდა ითქვას, რომ მთელი ომიანობის განმავლობაში, რომელსაც იტალია აწარმოებდა დ'ანუნციომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ომის დაწყებისთანავე დ'ანუნციომ ცნობილი ფუტურისტების ბელადის მარინეტის დახმარებით შეადგინა „გულადთა რაზმი" ეგრედ-წოდებულ „არდიტეში".

სახელწოდება სავსებით შეეფერებოდა ამ რაზმის ყოფა-ქცევას. ყოველ სახიფათო წუთებში „არდიტების" მხედრებს მოწინავე ადგილი ეჭირათ და თავგანწირული ენტუზიაზმით ამხნევებდენ დანარჩენ მხედრებს.

მარინეტტიმ და დ'ანუნციომ ხალხში დიდი პოპულიარობა და სიყვარული მოიხვეჭეს. იმათ პოლიტიკური პარტია არ შეუქმნიათ ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მაგრამ სამხედრო წრეები უთუოდ წარმოდგენილი იქნება პარლამენტში და დ'ანუნციო და მარინეტტიც, მათი უეჭველი კანდიდატები იქნებიან.

საერთო მდგომარეობა.

როგორიც არ უნდა იყოს პოლიტიკურ პარტიების ძალთა განწყობილება, იტალიის შინაური მდგომარეობა დღეს მაინც მტკიცეა. სამხედრო ორგანიზაცია აქ უფრო ურყევი დარჩა ვიდრე საფრანგეთში ან სხვაგან; ხალხის მოსახლეობა მატულობს; მწარმოებელი ძალების ზრდა და განვითარებას უბრალო დამკვირვებელიც შეამჩნევს;

შემოქმედი ადამიანური ენერგია ნაყოფიერად იხარჯება. საგარეო ბაზარზე იტალია უამრავ საქონელს აწარმოებს.

შავი ქვა, უმთავრესი და პირველხარისხოვანი საზრუნავი საქმეა იტალიაში. იტალიის მთავრობამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში 7 მილიარდი დახარჯა პურის ყიდვასა და ხალხზე შეღავათიან ფასებში გადაცემაში. დღემდე პარლამენტის უმრავლესობას შეადგენდა ბურჟუაზიული პარტიების კოალიციის უმრავლესობა. არის საკმაო ნიშნები იმისა, რომ მომავალ პარლამენტის არჩევნებში უმრავლესობას კათოლიკურ ხალხოსნური და სოციალისტური პარტიები შეჰქმნიან.

მხატვრულ-ლიტერატურული ცხოვრება

ომიანობის პროცესში ლიტერატურული და მხატვრული ცხოვრების ტემპი შედარებით შეწყდა. ხელოვნების მსახურთა უმრავლესობა ფრონტზე იდგა. ომამდე მხატვრობას ცენტრად იტალიაში, ფლორენცია იყო. აქ ლიტერატორთა ჯგუფმა გამოსცა ჟურნალი „ვეცე", სადაც მთავარი ადგილი ჰქონდა მიჩნეული ახალ ფილოსოფიურსა და ლიტერატურულ მიმდინარეობას, რომელსაც მეთაურობდა ფილოსოფი პაპინი.

ძველ მწერალთა შორის დ'ანუნციო განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. ფუტურისტულ მიმდინარეობამ რიცხვობრივ იკლო, რადგან მათი უმრავლესობა ჯარში გავიდა, მაგრამ მხატვრები და სკულპტორები განაგრძობენ მუშაობას, ხალგაზრდა ლიტერატორის და დრამატურგის ბრაგალიას მეთაურობით. სხვათა-შორის ბრაგალია ამ ერთ თვეში ესტუმრება ამიერ-კავკასიას, როგორც ერთ-ერთი გაზეთის კორესპონდენტი.

ახალ მიმდინარეობას მუსიკაში ხელმძღვანელობს კომპოზიტორი პინეტი, ალფრედ კაზელა, რასპილი, სერატო და სხვ. რომელთაც სრულიად ახალი მოტივები შეაქვთ მუსიკაში.

ქართული თეატრი

ქართულ თეატრის დღევანდელ უმწეო მდგომარეობით უნდა აიხსნას ის ერთსულოვანი გამოხმაურება ჩვენი ერისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა კვირას, ენკენისთვის 19-ს, ქართულ კლუბში, დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიის მეთაურობით მოწვეულ კრებაზე. მომხსენებლები (აკ. ფაღავა და ივ. გომართელი) თავის სიტყვებში იმ აზრს ატარებდნენ, რომ თეატრი საერთოდ, და ქართული თეატრი კერძოდ, იმ ქვეყანაში, რომლის სახელმწიფოებრივ შენებასთან ერთად მისი კულტურული სახეც უნდა ჩანდეს, დიდი ყურადღების ღირსია...

ქართველ ერს, როგორც გრძნობიერების სიძლიერის გამომსახველს, ერთი წამითაც არ ძალუძს უთეატროდ გასძლოს...

ამისათვის არი, რომ ყველა გაფაციცებით მოელის ქართულ დრამის სეზონს, თუმცა კი გული დაწყვეტილი აქვს, რადგან ამ სეზონის მოწყობის შემძლენი სხვა და სხვა გზით დადიან...

ქართულ სცენის „ძველ" მსახიობთა დიდი უმრავლესობა ქუთაისის თეატრშია მიწვეული; თბილისში მოხუცი მსახიობიღა დარჩნენ; ამის გამო ყველა არსებული სტუდიის შესახებ ლაპარაკობს; მაგრამ ჩემის აზრით სცდებიან ისინი, ვისაც ჰგონიათ, რომ მარტო სტუდიას სეზონის წარმოებას შესძლებს; სცდებიან ისიც, ვინც სტუდიაში ძველი მსახიობების შეყვანას და საერთო ძალით სეზონის წარმოებას ფიქრობენ. ვფიქრობ, რომ შარშან სტუდია დამარცხდა მით, რომ დასის სახელით გამოვიდა და თავის შემადგენლობაში „ძველი", გამოცდილი მსახიობნი მიიღო. მართალია, ეს სტუდიის ხელმძღვანელთა უცოდინარობით არ მოსვლიათ, ისინი იძულებულნი იყვნენ ასე მოქცეულიყვნენ, მაგრამ, მაინც, სამწუხაროდ, ფაქტი ფაქტად დარჩა...

მაშ რა უნდა ჰქმნას დღეს ქართველმა საზოგადოებამ, სად მოსძებნოს სავანე სადღეისო განვითარებისა,— კონკრეტიულად – როგორია დღევანდელი ქართული თეატრი?..

გვეგონა დღევანდელ თეატრალური საქმის ხელთუფლებისაგან მოვისმენდით ამის პასუხს, მაგრამ ხელში შეგვრჩა კომისრის სიტყვები: „ბევრი ვეცადეთ, მაგრამ ვერ შევსძელით აკადემიური ქართული დასის შედგენაო". იტყვით: თუ კი ცხრა მთას იქით სხვა და სხვა კუთხიდან ჩამოსული დემიანენკო — გურესების — შეერთება — შესძელით, რა დაემართათ ათეული წლობით ერთად მომუშავე ქართველ მსახიობთ, რომ ერთად ყოფნა არ შეიძლოთ!.. ქუთაისში ხომ შესდგა სამაგალითო დასი, მაშ შეუძლებლობა მსახიობთა კორპორაციის უხერხულობით არ გამოწვეულა... ჩვენ კი გვწამს, რომ დასის შეუდგენლობის მიზეზი კომისარ-რეჟისორების შეუთვისებლობაში მარხია, ყველას მთავარი რეჟისორობის ჟინი აწუხებს, და აღარ ვიცით, დაბალი ვიღა იქნება!.. ამითი კი საქმე ფერხდება და პირად განწყობილებათა მსხვერპლად ხდება...

ეს არის ქართულ თეატრის დღევანდელი ვითარება... და აღნიშნულ კრების რეზოლიუციები, შესახებ დაუყოვნებლივ ქართული აკადემიური დასის დაარსებისა, ნამდვილ დრამატიულ სახელმწიფოებრივ სტუდიის შექმნისა და მთავრობისგან მათი დახმარების აღმოჩენისა, უნდა ჩაითვალოს სრულ დამარცხებათ იმათი, ვინც ჩვენი ერის კულტუროსნობას უცხოთაგან დამახინჯებულ ქცევაში და შინაარსში ჰხედავენ... ამასთანავე ეს არის გამარჯვება მათი, ვისაც ერის დღეგრძელობა ეროვნულ კულტურის ამაღლებაში ჰგონია...

და სიხარულის მეტი არაფერი ითქმის, თუ საქართველოს მეთაურნი ამ კრების დადგენილებას ფაქტად აქცევენ.

მიხ. ხერხეულიძე.

ნაძალადევ-დიდუბის თეატრები

კარგა ხანია ამ უბნებში სახალხო თეატრები არსებობს. პირველობა ნაძალადევის თეატრს ეკუთვნის იშვიათი იყო შემთხვევა, წარმოდგენა, რომ თეატრი ხალხით გაჭედილი არა ყოფილიყოს. მაგრამ იშვიათია ისეთი მაგალითიც, რომ დამსწრეთა ნახევარს მაინც სმენოდეს თეატრისა და წარმოდგენილ პიესის მნიშვნელობა. რეჟისორი, თუ დასი, ხალხის ასეთს მდგომარეობას ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევდა და, ხ. ნ. თუ შესაფერს პიესებს სდგამდა, უფრო ხშირად შეუფერებელი იყო მისი ნაბიჯი... წარმოდგენის დროს უადგილო სიცილს, ყვირილს, სტვენას, გინებას და სხვას მრავლად მოისმენდით,—და ამის დამშლელი კი თითქმის არავინ იყო...

დღეს მდგომარეობა შეცვლილია. ორივე თეატრი რკინის გზელთა კულტურულ - განმანათლებელ კომისიის ხელში გადასულა და, ამგვარად, შემდგარა ერთი გამგეობა, რომელსაც ჰყავს სცენის მოყვარეთა დასი. გამგეობამ ასეთის სახით წელს დაიწყო პირველი სეზონი (ოქტომბრის 4-ს), რომლის რეჟისორად მიიწვია ქართული სტუდიის ყოფილი რეჟისორი ზ. ბერიშვილი. პირველის ნახვით გადაჭრით ვერ ვიტყვი, რომ ზ. ბერიშვილი სცენის მოყვარეთა დასით დასძლევს დაკისრებულ მოვალეობას, მაგრამ მისი ახალგაზრდული ენერგია და საქმის ცოდნა მისდა სასარგებლოდ გვაფიქრებინებს, რომ მიზანი მიღწეული იქნება. ყოველ შემთხვევაში, ამის ფიქრის ნებას იძლევა სეზონის გახსნისას წარმოდგენილი იაექალაძის 4 მოქ. დრამა „№ 21 ჯარით", რომელიც სამჯერ ზედიზედ (პარასკევს, შაბათს, კვირას) იქნება განმეორებული, ხალხი აუარებელი დაესწრო და კვლავ განმეორებასა თხოულობს. არ შეიძლება ითქმა, პიესა უნაკლულოდ იყოს წარმოდგენილი, მაგრამ ეს ნაკლი სცენის სიღარიბით აიხსნება; მომზადება — შესრულების მხრივ კი ნაყოფი დიდი სჩანდა...

საზოგადოების მხრივაც უფრო მეტი შეგნება, უფრო სიდინჯე სჩანდა,— ამასთან არ შეგვიძლიან არ ვურჩიოთ, რომ, შეძლებისდაგვარად, კარგი იქნება ყოველი წარმოდგენის წინ საზოგადოებას წარმოსადგენი პიესის მნიშვნელობა და შინაარსი განუმარტონ; ეს იქნება უფრო მეტი საშუალება ხალხის გათვითცნობიერებისა.

მიხ. კიაზოშვილი.

ბავშვისთვის

(დასასრული)

ვიმეორებ, ბავშვს უნდა საუკეთესოდ მოუწყოთ დახმარების საქმე იმ მიზნით, რომ იგი სასარგებლო კაცი დადგეს, და არა იმ მიზნით, რომ მისგან, რაც შეიძლება მალე, თავი დავაღწიოთ. მოხუცს კი უნდა მივუჩინოთ მყუდრო კუთხე.

ამგვარად, დახმარების აღმოჩენას საფუძვლად დაუდევთ ამა თუ იმ პირის ფიზიკური თვისებურობას, ფიზიკურ და გონებრივ შრომის უნარიანობის თვალსაზრისით. არსებობს მთელი რიგი ბუნების კანონი, რომელთა გვერდის ახვევა სახიფათოა თავის შედეგებით.

ეს ნათლად მოსჩანს, როდესაც ვაკვირდებით მოზარდ ადამიანს. ერთ წლამდე ბავში მხოლოდ მაშინ იქნება ნორმალური თავის განვითარებაში და სასიცოცხლო ძალის მოკრეფაში, როდესაც მას დედის რძით გამოკვებენ, ხოლო შემდგომ კი თანდათან მიაწოდებენ, ამასთან ერთად, სხვა შესაფერ საზრდოსაც უნაყოფო იყო და არის ყოველი ცდა, რომ ბავში აღზარდონ ბავშის საჭმელის სუროგატით. მეტსაც ვიტყვით, ხელოვნურის საჭმელით აღზრდილი ბავშვები მაგალითად ყელჭირვებით უფრო ადვილად იხოცებიან, ვიდრე დედის მკერდზე აღზრდილები? ჩემის დაკვირვებით, დედის მკერდზე აღზრდილები უფრო დიდ ხანს ცოცხლობენ, ვიდრე ხელოვნურის საჭმლით.

გონებრივადაც პირველნი უფრო ძლიერნი არიან, ვიდრე მეორენი. ამიტომაც, თუ კარგი და შრომის ამტანი მოქალაქე გინდათ, თუ გნებავთ მასზედ დახარჯული კაპიტალი ცუდუბრალოდ არ დაიღუპოს, მიიღეთ ყოველი ზომა, რომ ერთ წლამდე ბავში დედის რძით გამოიკვებოს.

ამგვარად, ბავშვის მოვლა პატრონობას საფუძვლად უნდა დაედვას უცილებლად მისი გამოკვება დედის რძით, ხოლო ობოლს ძიძა უნდა მიეჩინოს. ამის დამატებად საჭიროა, რომ მშობიარეს აღმოეჩინოს წესიერი დახმარება თავის დროზე, საჭიროა ამბულატორიები, სადაც შეასწავლიან ბავშვის მოვლასა და გამოკვებას, საჭიროა ქარხნებში სპეციალი დარბაზები, სადაც ქარხნებში მომუშავე ქალების მოყვანილ ბავშვებს ძუძუს მოაწოვებდნენ. მინდვრის მუშა ქალებისთვის კი საჭიროა კარვები, საჭიროა დაქირავებული ძიძები ობლებისა და იმ ბავშვებისათვის, რომელთა დედის რძე არ ეყოფათ დედები, რომელნიც საკუთარ შვილებს დაჰკარგავენ, ვალდებულნი არიან სხვისი ბავშვები გამოკვებონ. საჭიროა პრემიები ძუძუთი ბავშვის აღზრდისთვის. ყველა ეს ჩამოთვლილი ზომა უნდა მოსდევდეს მთავარს, რომელიცაა: ძუძუ ძუძუმწოვარა ბავშვს და არა „სოსკა". რა თქმა უნდა, ყველა ამას ვერვინ უხელმძღვანელებს, თუ არა საბავშვო ექიმი. მის თანაშემწეებად გამოდგებიან მხოლოდ საგანგებოდ მომზადებულნი პირნი, ფერშალი-ქალები თუ სხვები. ერთი წლის შემდეგ, ბავშვი მთელ თვის ძალღონეს ზრდაზე ხარჯავს. მიიღეთ ზომები, რაც შეიძლება ადვილად, შეასრულოს ესა, ე. ი. ერთ წლიდან 7—8 წლამდე მას უნდა მიეცეს, რაც შეიძლება მეტი საზრდო სინათლე და მზე, ამის მიღება შეიძლება მხოლოდ ქალაქს გარეთ, ე. ი. გამართეთ თავშესაფრები, საბავშო ახალშენები, კოტეჯები, აგარაკები, საბავშო ბაღები, მოედნები,—აუცილებლად ქალაქ გარედ, ქარხანა-ზავოდის კომლზე მოშორებით.

3—4 წლის შემდეგ, თვით ბავშვის სასარგებლოდ, შეიძლება მისი გამოყენება: აიძულეთ და შეაჩვიეთ, თავის თავს მიუაროს. მიალაგ-მოალაგოს, რაც მის გარშემოა, სწმინდოს, როგორც ეს ინგლისშია მიღებული, კარების სპილენძის სახელურები.

შვიდი წლის შემდეგ დგება ტვინისა და აზრის ფორმაციის ხანა, მაგრამ ამავე დროს ბავში განაგრძობს ზრდა'; დაუძახეთ ამ დროს მასწავლებელს, აღმზრდელს, გიმნასტიკისა და სხვა სავარჯიშოების ხელმძღვანელს. მაგრამ გახსოვდეთ, რომ ჯერ კიდევ ბავშის მთავარი ხელმძღვანელი დაკავშირებული უნდა იყოს მას სხეულისა და ტვინის ძირითად განვითარების საქმესთან, მაშასადამე, ეს ხელმძღვანელი ისევ ისე საბავშო ექიმი უნდა იყოს; აღმზრდელი და მასწავლებელი ამ ხანში მეორე რიგზე დგას. დაახლოვებით 14 წელზე, იწყება სქესობრივი განვითარების პერიოდი; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალიშვილებისა და ვაჟების ზნეობრივ მდგომარეობას, ვინაიდან „ახალგაზრდობის ცოდო", რომელიც ბავშვებში ადვილად იკიდებს ფეხს, შლის და არღვევს ჭაბუკის ორგანიზმს დანაცვლად მკვიდრი და საღი მუშაკებისა გვყოლებათ უძლურნი და სუსტნი. ეს პერიოდი ზრდის შენელების პერიოდია, მაგრამ ამ დროს ყველაზედ უფრო დიდია სიკვდილის პროცენტი, განსაკუთრებით ძვლის ტუბერკულოზისაგან. საერთოდ კი ორგანიზმი უკვე გამაგრებულია, მზადაა არსებისათვის ბრძოლის საწარმოებლად, ამიტომაც ექიმის როლი ხდება უკვე მეორე ხარისხოვანი, ამ პერიოდში იგი მრჩეველია მხოლოდ და არა ხელმძღვანელი. ყმაწვილი ეხლა უფრო განათლების ხელმძღვანელს საჭიროებს. 19—20 წელზე, ორგანიზმი მზადაა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, მას აკლია მხოლოდ გამოცდილება მიაწოდეთ ზნეობრივი და იურიდიული დახმარებანი 20-ან 50 წლამდე—უნაყოფიერესი მუშაობის პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში. 50 წლის შემდეგ, ორგანიზმი თანდათან კვდება, მაშასადამე, ეცემა შრომის ნაყოფიერობაც. 60 წლის შემდეგ დგება მარაზმი, დაუძლურება, ეს არის ხანა ფიზიკური უმწეობის, უსუსურობისა, რომელიც ძალიან უახლოვდება ძუძუ მწოვარა ბავშის მდგომარეობას; სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ ხანაში თუმც ადამიანი ჯერ კიდევ განაგრძობს გონებრივ მუშაობას, მაგრამ შემოქმედებით მუშაობის უნარი არ აქვს და შეიძლება გამოყენებულ იქმნას მხოლოდ, როგორც რჩევისა და ცხოვრების გამოცდილების წიგნი, ამიტომაც თან და თან შველა-პატრონობაც ესაჭიროება.

საფუძვლად, ამგვარი სისტემის მიღება ადვილს ჰყოფს ყველა ქვეყნებისთვის მოვლა-პატრონობას ერთგვარი ფორმის შემუშავებას მთავარ და ძირითად მუხლებში, დანარჩენს, მეორე ხარისხოვან მუხლებში კი, რა თქმა უნდა, ადგილი უნდა მიეცეს ადგილობრივ თავისებურობასთან შეფერებულ ზომებს.

მედიცინის დოქტორი **შენგელიძე**

დაიბეჭდა და დაურიგდა გასასყიდად
ქუთაისში: მთავრიშვილის მაღაზიაში.
თბილისში: წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. მაღაზიაში.
ქართული წერის დედანი
ს. დათეშიძისა
2595 12—6

მიმოსვლა
სახალხო მატარებლებისა ს. ს. რკ. გზ.

გადის თბილისიდან.

ფოთში	№ 21	ღამ.	12 ს. 5 წ.
ქუთაისში	№ 10 9	საღ.	8 ს. 7 წ.
ბათომში	№ 5	საღ.	5 ს. 4 წ.
ფოთში	№ 3	დილ.	9 ს. 56 წ.
ბათომში	№ 1	ღამ.	11 ს. 30 წ.

მოდის თბილისში

ბათომიდან	№ 2	დილ.	7 ს. —
ფოთიდან	№ 4	საღ	8 ს. 45 წ.
ბათუმიდან	№ 6	შუად.	12 ს. 10 წ.
ქუთაისიდან	№ 11,12	დილ.	9 ს. 30 წ.
ფოთიდან	№ 22	დილ.	6 ს. 06 წ.

თბილისი-სადახლო

გადის სადახლოში

№ 8	საღამოს	6 ს. 5 წ.
№ 6	შუადღის	2 ს. 32 წ.
№ 4	საღამოს	9 ს. 50 წ.

მოდის სადახლოდან.

№ 3	დილის	7 ს. 27 წ.
№ 5	ნაშუად.	3 ს. 5 წ.
№ 7	დილის	11 ს. 52 წ.

თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომი.

გადის

№ 63	შუადღის	2 ს. 40 წ.
№ 61	დილის	7 ს. 52 წ.
№ 19,20	შუად.	3 ს. 26 წ.

მოდის:

№ 19,20	დილ.	6 ს. 30 წ.
№ 62	დილ.	11 ს. 24 წ.
№ 64	საღ.	8 ს. 4 წ.

თბილისი-სანაინა

გადის:

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

მოდის:

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

შენიშვნა 1. მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამგზავრო სისწრაფის გადასაზიდვი და მალე წასახდენი საქონლის.

შენიშვნა 2. მ. მ. №№ 61, 62, 63, 64 იმოძრავებენ თბილისისა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
ფალანდარიშვილი
უფროსი ექიმი თბილისის სამხედრო სკოლისა. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9 ს-მდე და საღამოს 5—7 საათ. მდე ოლღას ქ. 3.
ტელეფონი № 17 21.

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ყოფ. ორდინატორი პეტროგრადის ვენერიულ კლინიკისა იღებს ავადმყოფებს დილ. 10—12 საათ., საღამოთი 5—7 ნახ. ს-მდე სპეციალად ვენერიულ, კანის და სიფილისით ავადმყოფებს. (914 და 606-ის შეშხაპუნება) გადავიდა ახალ ბინაზე მიხეილის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლთან, შესავალი კუთხიდან ეკლესიის ქ. № 1.
50—2559—1

საექიმო კაბინეტი
ექ. პ. ლ. შელაშვილისა
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავადმყოფები სასქესო და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავადმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევარ საათ 25—2536—1

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მებრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის— ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით, [illegible] სოლენოიდი და [illegible] ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 8—საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

სამკურნალო კაბინეტის გამგე
[illegible]
[illegible]
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ის შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს [illegible] საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ
ტელეფონი 14—28.

სამხედრო სამინისტროს სტამბა, ლ-რის-მელიქოვის ქუჩა № 3.